# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 18 დეკემბერი 2007 №292 (3215) ფასი 50 თეთრი

# კაკარნავალი
## ბრაზილია ქალიან-კაციანად






წლის ბოლოა და, ციურიხის ოპერაში ისევ შეიკრიბნენ ფეხბურთის დიდმოსაქმენნი და დიდი მოთამაშეები — ახლანდელნიც და ძველნიც.

და რაკი წლის ბოლოა, გალა-შეკრების მიზეზიც იოლი გამოსაცნობია: წლის რჩეულთათვის პატივის მიგება.

შოუ კარგი გამოდგა, მაგრამ ინტრიგა კი აკლდა, რაკილა ყველანი წინდაწინვე ვხვდებოდით, ვინც გახდებოდა ფიფას რჩეული.

არანაირი მოულოდნელობა: „მილანის" ბრაზილიელმა კაკამ მანჩესტერელ რონალდუს და ბარსელონელ მესის აჯობა და ბოლო დროს ჩატარებული ყველა გამოკითხვის რჩეულმა აქაც იპირველა.

ქალთაგანაც საუკეთესოდ ბრაზილიელი, მარტა დასახელდა, ვინაც დიად გერმანელ ბირგიტ პრინცს და თვისტომ კრისტიანას აჯობა.

და პელე? მის გარეშე ხომ ფიფას არც ერთი შოუ არ ტარდება და პრეზიდენტ იოზეფ ბლატერისგან საგანგებო ჯილდოც ჩაიბარა — განსაკუთრებული ღვაწლისთვის.




# მეხუთე ქართველი რჩეულთა ნუსხაში
## SHER-MADE-IN GEORGIA
## NBA: JAM-LET'S GO!

ვლადიმერ სტეფანია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ზაზა ფაჩულია, ვიქტორ სანიკიძე — ამ ქართველ კალათბურთელებს ის აერთიანებთ, რომ სხვადასხვა დროს ნბა-ს დრაფტზე აირჩიეს. თუმცა ბოლო ორი წელია, მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგა ქართველით აღარ შევსებულა და ეს უსიამო ტრადიცია, ჩვენდა გასახარად, მომავალ ზაფხულში ალბათ დაირღვევა. საქართველოს ჩემპიონატში უდავოდ გამორჩეული და ყველა მეტოქის ფარქვეშ დამჩაგრავი 215 სმ. სიმაღლის გიორგი შერმადინი მომავალი დრაფტისთვის ამერიკელებმა შეარჩიეს.

ამ დღეებში თბილისში შერმადინის შესათვალიერებლად ცნობილი სატრანსფერო სააგენტო „ლაივ სპორტის" მენეჯერი, ტოდ რამასარი ჩამოვიდა და როგორც ამ გამოცდილმა საკალათბურთო სპეციალისტმა აღნიშნა, მომავალ ზაფხულს „მაკაბის" ცენტრს ნბა-ს დრაფტზე გვარიანი წარმატება ელის. რამასარი კმაყოფილი დარჩა შერმადინის მონაცემებით და მის გამზრდელ ჯამლეტ ხუხაშვილს დაპირდა, შენი შეგირდი სულ მალე ნბა-ს რომელიმე გუნდის წევრი გახდებაო.

დრაფტამდე ჯერ შორია, თუმცა შერმადინი აქედანვე ემზადება ამისთვის და ამაში მას „ლაივ სპორტის" მენეჯერებიც დაეხმარებიან. აპრილში შერმადინი ამერიკაში გაემგზავრება და მოახლოებული დრაფტისთვის იქაურ სპეციალისტებთან შეემზადება.

# სიას ფინეთი და მოლდოვა დაემატნენ

## ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებებში ჩაეფლო



**ფინეთი** და მოლდოვა — ეს ორი გუნდი შეემატა საქართველოს ნაკრების სავარაუდო სპარინგ-მეტოქეთა სიას.

გეცოდინებათ, საგაისოდ, შესარჩევი ციკლის დაწყებამდე გადაწყვეტილი ჯერჯერობით ერთი ამხანაგური მატჩის გამართვაა — უელსთან 20 აგვისტოს კარდიფში. მანამდე კი სხვადასხვა თარიღებში სხვადასხვა ვარიანტები ჩნდება ნაკრების სპარინგ-მატჩებისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც მოლაპარაკებებშია ჩაბმული.

„20 დეკემბერს კლაუს ტოპმიოლერი თბილისში ჩამოვა და მაშინ გაირკვევა, ვის შევხვდებით. ვარიანტები საკმაოდ გვაქვს. კვლავ ძალაში რჩება მაისის ბოლოს საფრანგეთ-ჰოლანდიასთან მატჩების გამართვის შესაძლებლობა. ფინეთი და მოლდოვა კი თებერვალის სავარაუდო სპარინგ-მეტოქეები არიან" — გვითხრა გუშინ სფფ-ის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

**ილია ნანობაშვილი**

# მიდიან თუ არა ლოკომოტივიდან?

**ძირითადი** შემადგენლობის რვა ფეხბურთელი, მთავარ და მეორე მწვრთნელთან ერთად შუა სეზონში გუნდიდან რომ წავა, კლუბის ხელმძღვანელობას, ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება უწევს, თანაც თუ გუნდი აუტსაიდერთა შორისაა, მაშინ მისი საქმე უფრო რთულადაა.

გავრცელებული ხმებით, „ლოკომოტივი" სწორედ ასეთ დღეშია: მწვრთნელებმა, გიორგი კიკნაძემ და ზაზა ზამთარაძემ, ფეხბურთელებმა გიორგი მიქაძემ, მიხეილ ბობოხიძემ, მიხეილ ფლენტმა, ალექსანდრე ლალაძემ, გიორგი ალავერდაშვილმა, დავით გვარამაძემ, აკაკი ქუხილავამ და ლერი ხოხონიშვილმა „ლოკომოტივი" დატოვეს.

ინფორმაციის გადასამოწმებლად კლუბის ხელმძღვანელთაგან ვერავის დავუკავშირდით და ბოლოს ზაზა ზამთარაძეს შევეხმიანეთ, რომელმაც წასვლა არ დაგვიდასტურა, მაგრამ ის კი გვითხრა, ამის სურვილი მქონდა, თუმცა ახლა გუნდი შვებულებაშია და ჯერ ამ თემაზე არ გვისაუბრიაო. მისთვის ასევე უცნობია ზემოთ ნახსენები ფეხბურთელების ამბავიც.

ერთიც: ასევე დაუდასტურებელი ინფორმაციით, შესაძლოა, დავით გვარამაძე მოლდოვურ „დაჩიაში" წავიდეს, სადაც ორი ქართველი, ვიტალი დარასელია და ჯაბა დვალი თამაშობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" სამძიმარს
უცხადებს ვეტერან მეკარე ოთარ გაბელიას
დედის
გარდაცვალების გამო

ფეხბურთის კლუბი ამერი თანაუგრძნობს
ვეტერან მეკარე ოთარ გაბელიას
დედის
გარდაცვალების გამო

### იტალია

სერია C1/B. გადადებული მატჩი
პესკარა 3:1 პოტენცა

### ჩილე

კლაუსურა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი
უნივ. დე ჩილე 0:1 კოლო კოლო (0:2)

### გერმანია

II ბუნდესლიგა
XVII ტური
კიოლნი 2:1 ლაუტერნი

ალექსანდრე კვახაძისთვის ეს წელინადი გამორჩეულია. თბილისის „ვიტ ჯორჯიას" 23 წლის კაპიტანი კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვია და სამ მატჩშიც (აზერბაიჯანთან, შოტლანდიასთან და ყატართან) ათამაშა. დაცვის ცენტრი საქართველოს ნაკრების, ალბათ, ყველაზე ნაკლებადპრობლემური პოზიციაა და კვახაძეს ძალიან გაუჭირდება ძირითადში ადგილის დამკვიდრება, თუმც ვიტჯორჯიელი მონდომებულია და თავის შანსს ელის. კვახაძეს პირადულ და ვეტერინართა გეგმებზე, ასევე სანაკრებო ამბებზეც ვესაუბრეთ...



# ალექსანდრე კვახაძე: ასეთი გახარებული არასოდეს ვყოფილვარ

## ვიტ ჯორჯია დინამოს არ მოასვენებს

— ალალად ვიტყვი, წლეულს ჩემი თამაშის კმაყოფილი ვარ. მართალია, „ვიტ ჯორჯია" მხოლოდ მესამე ადგილზეა და მინდა, უფრო მაღლა რომ იყოს, მაგრამ პირადად მე კარგი სეზონი მაქვს. ნაკრებში გამომიძახეს, შრომა დამიფასდა. მოკლედ, გუნდის შედეგით უკმაყოფილო ვარ.

— „ვიტ ჯორჯიამ" თითქმის ყველა ლიდერს მოუგო, ეგაა, პირველი წრის შუაში ზედიზედ რამდენიმე მატჩი ჩააგდო — „ბორჯომთან" შინ და „სიონთან" სტუმრად, მოულოდნელად წააგო...

— მე და დავით ლომაია ნაკრებში ვიყავით, ზედ „სიონთან" თამაშის წინა დღეს დავბრუნდით კლუბში. გადაღლილები ვიყავით. იმ დღეებში „ვიტ ჯორჯია" ვერ იყო მობილიზებული და, სამწუხაროდ, ქულები დავკარგეთ. ეს რომ არა, დღეს პირველ ადგილზე ვიქნებოდით. პირველი წრის მეორე ნახევარი კი მაგრად ჩავატარეთ — ზედიზედ 7 თამაში მოვიგეთ.

— ლიდერ თბილისის „დინამოსთან" 5 ქულას აგებთ. რეალურად შეგიძლიათ ჩემპიონობისთვის ბრძოლა?

— შეგვიძლია. მთავარია, მეტი მონდომება და მობილიზება.

— „ვიტ ჯორჯია" ხშირად უგებს „დინამოს". ეს რას მიაწეროთ: დინამოელებთან სხვა ჟინით თამაშობთ?

— პირველ წრეში საუკეთესო მატჩი, ალბათ, სწორედ „დინამოსთან" გვქონდა. „დინამო" ყველაზე სახელიანი გუნდია და მათთან თამაშისთვის ყველა განსაკუთრებით ემზადება, ასე ვართ ჩვენც. აქამდე უმეტესად ვუგებდით დინამოელებს და ვნახოთ, შემდეგში რა იქნება.

— როგორც მცველს, ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე სახიფათო ფორვარდად ვინ მოგაჩნია?

— რამდენიმე კარგი თავდამსხმელია და მათგან „ზესტაფონის" გოგი ფიფიას გამოვარჩევ.

— ახლა არდადეგები გაქვთ. როდის იკრიბებით?

— 25 დეკემბერს შევიკრიბებით, 29-იდან ისევ დავისვენებთ და 4 იანვარს გავაგრძელებთ მზადებას. გადაწყვეტილია, რომ უცხოური შეკრება ანთალიაში გვექნება.

— უკვე ეროვნული ნაკრების წევრს, ალბათ, უცხოური კლუბისკენ გიჭირავს თვალი. სავარაუდო კლუბებიდან „სატურნი" და კიევის „არსენალი" დასახელდნენ...

— კი, არის ლაპარაკი ამ ორ გუნდზეც და სხვებზეც. ერთ თვეში გაირკვევა ყველაფერი, ისე კი, გეტყვით, რომ „სატურნი" სერიოზულადაა დაინტერესებული ჩემით. ასე გავიგე და ვნახოთ...

— ნაკრებში კი უკვე სისტემატურად გიძახებენ...

— სიმართლე გითხრათ, ველოდი კიდეც, რომ გამომიძახებდნენ. ეროვნულ ნაკრებში ვარჯიში და მით უმეტეს, თამაში ერთი საოცნებოა, ასე არაფერი გამხარებია ცხოვრებაში. მართალია, ერთი სრული მატჩი ჯერ არ ჩამიტარებია ნაკრებში, მაგრამ რაც ვითამაშე, ვფიქრობ, ნორმალურ დონეზე ვიყავი. ყატართან სტუმრად ბოლო 10 წუთი შევედი მინდორზე, კარგი პასიც გავუკეთე ნიკა გელაშვილს, რომელიც პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ვერ გაიტანა.

— როგორ ფიქრობ, კლაუს ტოპმიოლერი გაისადაც მოგიწვევს ნაკრებში?

— ყოველ შემთხვევაში, მისი ჩემთან დამოკიდებულებით ვხვდები, რომ გამომიძახებს. მეც, რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ, თავს დავდებ ნაკრებისთვის.

**ილია ნანობაშვილი**

# გოცირიძეს ნალჩიკი ჩაეშალა



**ბექა გოცირიძის** ნალჩიკის „სპარტაკში" გადასვლა თითქმის გამორიცხა, რამაც ფეხბურთელს, ცხადია, გული დასწყვიტა — ძალიან მინდოდა, უკეთეს ჩემპიონატში გამეგრძელებინა თამაში, მაგრამ „ზესტაფონთან" მოქმედი კონტრაქტი მაქვს და კლუბმა არ გამიშვაო.

„მე ასეთი ინფორმაცია მაქვს, რომ ნალჩიკის „სპარტაკ" დაუკავშირდა „ზესტაფონს" ჩემს საკითხზე და უარი მიიღო. ნალჩიკელები ფულს იხდიდნენ, მაგრამ მაინც არ გამიშვეს. რას იზამ, ეხეც ბედია. მოვა დრო და მაინც წავალ უცხოეთში" — გვითხრა გოცირიძემ, რომელიც მართლაც მშვენიერ ფორმაშია და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმის ლიდერ-ბომბარდირად იქცა.

**ილია ნანობაშვილი**

# ლივერპული, ბაიერნი და იუვენტუსი მოიცდიან

## ლევან მჭედლიძეს უნდა ის, რაც სჯერა და შეუძლია: თამაში!

**იტალიური „ემპოლის“ ქართველი თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე სერია A-ში დებიუტისთვის ემზადება. უკვე ორი წელიწადია, უნიჭიერესი ქართველი ფეხბურთელი იტალიაშია. არასრულწლოვანობის გამო თავიდან ვერც კონტრაქტს აფორმებდა და თამაშის უფლებაც არ ჰქონდა, ახლა კი ეს პრობლემები უკვე გადაჭრილია და მჭედლიძეც „ემპოლის“ სრულუფლებიანი წევრია. მოკლედ, ახლა 17 წლის ლევან მჭედლიძის უმთავრესი მიზანი თამაშია და ამის გამო ის გუნდის გამოცვლას უარობს, ჯერჯერობით ამაზე სერიოზულად არც ვფიქრობო...**



— ვარჯიშებზე დატვირთვებს ნელ-ნელა ვზრდი და უკვე თავს კარგად ვგრძნობ — გვითხრა ლევან მჭედლიძემ გუშინ, იტალიაში რომ დავუკავშირდით.

— ისევ ძველმა ტრავმამ შეგახსენა თავი?

— თამაშის წინ ხალიჩაზე ვხურდებით ხოლმე და მერე გავდივართ სათამაშოდ. მეც იმ დროს შემაწუხა ტკივილმა... „იუვენტუსთან“ სათასო მატჩში უნდა მეთამაშა, მაგრამ ექიმმა მირჩია, დასვენება გჭირდებაო და მეც სათადარიგოდ დავრჩი. აი, ამ ტრავმამ ცოტა გამაჩერა, თუმცა არა უშავს...

— ახლა უკვე ჯანმრთელად ხარ?

— ხვალიდან მთელი დატვირთვით ვივარჯიშებ. ტკივილები უკვე აღარ მაწუხებს და, ვფიქრობ, მალე სათამაშოდ მზად ვიქნები.

— აქამდე სერია A-ში თამაშის უფლება არ გქონდა. მართალია, ჯერჯერობით სრულწლოვანი არ ხარ, მაგრამ ეს უკვე ხელისშემშლელი აღარ არის. არადა, „მილანის“ ბრაზილიელი ალეშანდრე პატოც შენი ტოლია და მას გაისამდე არ შეუძლია თამაში...

— პატოს პერიოდი მე უკვე გავლილი მაქვს. ორი წელია, აქ ვარ და ამ ხნის განმავლობაში ამ საკითხზე მთელი „ემპოლი“ მუშაობდა ჩემი მენეჯერების ჩათვლით. საბედნიეროდ, ყველაფერი დადებითად გადაწყდა.

— ამაში ალბათ სანაკრებო თამაშებმაც შეგიწყო ხელი...

— რა თქმა უნდა. ნაკრებში რომ ვითამაშე, ეს ყველამ ნახა და „ემპოლიმაც“ უფრო თამამად განაცხადა, ეს ფეხბურთელი გვჭირდებაო. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამაც კლუბის მოთხოვნა დააკმაყოფილა. სადაც ვმონაწილეობთ, ყველა ტურნირის განაცხადში ვყავარ შეყვანილი „ემპოლის“. მოკლედ, ასეთი პრობლემები აღარ მაწუხებს.

— ამასობაში კი, „ემპოლის“ ახალი თავკაცი ჰყავს. როგორი ურთიერთობა გაქვს ალბერტო მალეზანისთან?

— ძალიან კარგი კაცია, ურთიერთობაც ნორმალური მაქვს და იმედია, მის ხელში დებიუტიც მალე მექნება.

— ახლა ყველაზე მეტად სწორედ თამაში გჭირდება...

— რა თქმა უნდა. ჩემი მიზანიც ეს არის — უნდა ვითამაშო და თან, რაც შეიძლება, მალე! სხვა არაფერზე ვფიქრობ.

— არც გუნდის გამოცვლაზე გიფიქრია?

— არა, ამ ეტაპზე ეს საკითხი არ დგას. ჩემი აზრით, „ემპოლი“ ახლა საკმაოდ ხელსაყრელი ვარიანტია ჩემთვის. ოღონდ, მთავარია, ვითამაშო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

— არადა, სანაკრებო მატჩების შემდეგ, განსაკუთრებით, შოტლანდიასთან მოგების მერე ითქვა რამდენიმე დიდი კლუბის დაინტერესების თაობაზე...

— არც მიკვირს, რადგან ეს ყოველთვის იყო და დღესაც ბევრი ვარიანტი მაქვს, თუმცა არ ვჩქარობ.

— მაინც რა ვარიანტები გაქვს?

— როგორ გითხრათ... საკმაოდ ბევრი გუნდია დაინტერესებული, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ უფრო ბევრი დაინტერესდება, თუ ვითამაშებ.

— „ლივერპული“, „ბაიერნი“, „იუვენტუსი“... ესენი ისევ აქტიურობენ?

— კი, ეს გუნდებიც არიან. თუმცა ჯერ ადრე მგონია ამაზე ლაპარაკი. კარგად მესმის, რომ პატარა ვარ, რაღაც ეტაპები გასავლელი მაქვს და სწორედ ამაში მჭირდება „ემპოლი“. როცა მზად ვიქნები, მერე, რა თქმა უნდა, უკეთეს გუნდში გადასვლაზეც ვიფიქრებ.

— ამ თემას ერთი კითხვითაც შევეხები: დავუშვათ, „ემპოლი“ სერია A-დან გავარდა...

— მივხვდი, რასაც მეკითხები... ამ შემთხვევაში, ალბათ, ვიფიქრებ „ემპოლიდან“ წასვლაზე. ადრე გუნდში ცოტა არეულობა იყო, ახლა ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა და ყველას დიდი იმედი გვაქვს, რომ სერია A-ში დავრჩებით. ვნახოთ... ძალიან მინდა, ამაში ჩემი წვლილიც შევიტანო...

— კეთილი. ნაკრებზეც ვთქვათ: მოგწონს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი?

— ვფიქრობ, ნორმალური ჯგუფია და ახლა მთავარია, ისე მოვემზადოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდეთ და მე მჯერა, რომ გავალთ. ჩვენ ეს შეგვიძლია. იმედი მაქვს, იღბალიც ჩვენსკენ იქნება და ისე არ მოხდება, როგორც ლიტვასთან მატჩში იყო — იმდენი მომენტი შევქმენით და 0:2 წავაგეთ. არადა, ერთი გოლი რომ გაგვეტანა, დარწმუნებული ვარ, ლიტვას შოტლანდიაზე უარეს დღეში ჩავაგდებდით.

— მომავალ შესარჩევ ციკლში, ცხადია, მნიშვნელოვანი იქნება ნაკრების ბირთვიც. არადა, ბოლო მატჩებში საქართველოს ნაკრებში სამი 17 წლის ფეხბურთელი იყო — შენ, ლევან ყენია და გიორგი მაკარიძე. რას ეტყვი იმ ხალხს, ვინც არცთუ უსაფუძვლოდ შიშობს, რომ მთელი შესარჩევი ციკლის თქვენს მხრებზე გადატანა სარისკო იქნება? ლევან მჭედლიძე მზად არის?

— ასეთი ეჭვები ჩემამდეც მოსულა და შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ მე მზად ვარ ჩემი ქვეყნისთვის და ჩემი ხალხისთვის! მართალია, ჯერ მხოლოდ 17 წლის ვარ, მაგრამ... მზად ვარ და თან მჯერა, რომ შემიძლია!

— და ბოლოს, ერთ უსიამოვნო ამბავზეც უნდა გკითხო...

— გაქურდვაზე? ახლა მაგრად მეცინება ამ ამბავზე...

— არადა, მთლად ასე სასაცილოდაც არ ყოფილა საქმე...

— მართლა ცუდი ამბავი იყო, თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და არაფერი დამშავებია.

— ითქვა, ქურდბაცაცები ალბანელები იყვნენო...

— პოლიციას ასეთი ეჭვი აქვს, მაგრამ როგორც ვიცი, ჯერ არავინ დაუკავებიათ. სიმართლე გითხრა, ამას აღარც დავეძებ.

— გაზი, რომლითაც დაგაძინეს, ჯანმრთელობისთვის საშიში ხომ არ იყო?

— არა, მაგრამ, როგორც გაირკვა, დიდი დოზა გაუშვეს და იმან გადამარჩინა, რომ კარი ღია დარჩა. სიგნალიზაცია რომ მქონოდა, შესაძლოა, უფრო ცუდი შედეგები მოჰყოლოდა... ყველაფერი იმან გააიოლა, რომ ღია კარიდან ჰაერი შემოვიდა და გაზი გაანეიტრალა. მეორე დღეს ექიმმა რომ გამსინჯა, გაკვირვებული დარჩა, ძლიერი ორგანიზმი გქონიაო. მოკლედ, მიმაძინეს და გამქურდეს... ახლა რომ ვიხსენებ ყველაფერს, მეცინება...

**კახა შალამბერიძე**



## მსოფლიოს მასპინძელი ჩვენი კარის მეზობელია

„ფიფა-კოკა-კოლას“ ახალ, დეკემბრის რეიტინგში ნოემბრის თვისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა — საქართველოს ნაკრები ისევ „ძველ“, 77-ე ადგილზეა, იმ მცირე განსხვავებით, რომ ამ ადგილს მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ სამხრეთ აფრიკასთან ერთად იყოფს.

მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეებიდან ადგილი მხოლოდ კვიპროსის ნაკრებმა შეიცვალა, რომელმაც ერთი პოზიციით უკან დაიხია.

დანარჩენ მეტოქეთა მდგომარეობა უცვლელია.

არც რეიტინგის პირველ ათეულში შეცვლილა რაიმე და გუნდებმა თავიანთი სანომრო ადგილები შეინარჩუნეს.

ცხრილის თავში სამხრეთამერიკელთა ჰეგემონიაა — არგენტინა თამადობს და „ალვიერდს“ დაუძინებელ მტერ ბრაზილიასთან გადაცის. მესამე პოზიცია ჩვენი ჯგუფის ფავორიტ იტალიას უჭირავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | არგენტინა | 1523 |
| 2 | 2 | ბრაზილია | 1502 |
| 3 | 3 | იტალია | 1498 |
| 4 | 6 | ესპანეთი | 1349 |
| 5 | 5 | გერმანია | 1298 |
| 6 | 9 | ჩეხეთი | 1290 |
| 7 | 4 | საფრანგეთი | 1243 |
| 8 | 8 | პორტუგალია | 1241 |
| 9 | 7 | ჰოლანდია | 1170 |
| 10 | 10 | ხორვატია | 1129 |
| 18 | 18 | ბულგარეთი | 877 |
| 35 | 35 | ირლანდია | 731 |
| 66 | 65 | კვიპროსი | 493 |
| 77 | 77 | საქართველო | 414 |
| 172 | 172 | ჩერნიგორია | 172 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# მეორე წრიდან დინამოში ვითამაშებ

## შოთა გრიგალაშვილი: თუ მსგავსი განმეორდა, გაშვებას მოვითხოვ



ყველა მწვრთნელს თავისებური შეხედულება აქვს, ხშირად უცნაურ ვერსიებსაც ვხედავთ მათ მოქმედებებში... შოთა გრიგალაშვილს კლაუს ტოპმიოლერი ეროვნული ნაკრებისკენ რომ „ექაჩებოდა“, დუშან უპრინს „დინამოს“ განაცხადშიც კი არ შეჰყავდა. ის კი არა, ჩეხმა სპეციალისტმა გრიგალაშვილის დახმარება საჭიროდ აღარ ჩათვალა და ჯერ კიდევ გასული სეზონის მეორე წრეში „ბორჯომში“ გაანათხოვრა. იგივე განმეორდა წლეულსაც... გრიგალაშვილს კარგი მონაცემები რომ ჰქონდა, „კოჭებში ადრეც ეტყობოდა“, თუმცა, როგორც ჩანს, კურორტმა არგო და წლეულს ისე ათამაშდა, „ბორჯომსაც“ ძალიან წაადგა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც. ეტყობა, უპრინსაც აზრი შეეცვალა და „სარბიელთან“ რამდენიმე დღის წინანდელ ინტერვიუში გრიგალაშვილის „დინამოში“ დაბრუნებაზე ისაუბრა...

— დუშან უპრინმა განაცხადა, შოთა გრიგალაშვილი „დინამოში“ უნდა დავაბრუნოო. შენ თუ გითხრა რამე?

— უპრინმა არა, მაგრამ „დინამოდან“ დამიკავშირდნენ და როდესაც გუნდი შეიკრიბება, მეც შევუერთდები. მეორე წრიდან „დინამოში“ ვითამაშებ.

— „დინამოში“ ადრეც იყავი, მაგრამ ზედიზედ ორჯერ „ბორჯომში“ გაგანათხოვრეს. ახლა თუ გაქვს იმის გარანტია, რომ სათამაშო პრაქტიკა გექნება?

— ამის გარანტიას ვინ მომცემს, მაგრამ თუ მსგავსი სიტუაცია განმეორდა, თავად მოვითხოვ, რომ ისევ გამიშვან სადმე. სათამაშო პრაქტიკა ერთია და, როგორც პროფესიონალს, ცხადია, მოედანზე ყოფნა მინდა.

— „ბორჯომში“ სათამაშო პრაქტიკა წაგადგა, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები წლეულს სისტემატურად გიწვევდნენ...

— „ბორჯომში“ უკვე ერთი წელიწადია, ვთამაშობ და ჩემთვის სასიამოვნოც იყო და მისაღებიც. ცუდი გუნდი ნამდვილად არ გვყავდა, საინტერესო თამაშებიც გვქონდა. მგონი, მეც ურიგოდ არ გამოვიყურებოდი.

— ამიტომაც დაგასახელა „სარბიელმა“ პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში...

— დიდი მადლობა! ფეხბურთელისთვის მცირე დაფასებაც კი სასიამოვნოა.

— უპრინს შენი თანაგუნდელის, გიორგი ნერგაძის დაბრუნებაც სურს „დინამოში“. ეს ალბათ „ბორჯომს“ მნიშვნელოვნად დაასუსტებს...

— ორი ფეხბურთელი ბევრს არაფერს წყვეტს. ახლა ბორჯომში საფეხბურთო სიტუაციაა და თუ კარგი გუნდის შენარჩუნება უნდათ, ორი ფეხბურთელის შემცვლელი თავისუფლად უნდა მოძებნონ.

— ერთი წლის წინ გერმანულ აუე-ში იყავი, მაგრამ მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. იგივე ან სხვა უცხოური ვარიანტები ხომ არ გაქვს?

— საზღვარგარეთ თამაში კარგია, მაგრამ ჯერ ამ მხრივ სასიკეთო არაფერი ჩანს.

— ნაკრებებზეც ვთქვათ: ახალგაზრდებმა ბოლოს ლუქსემბურგში იოლად მოიგეთ...

— კარგად ვითამაშეთ, ცოტა გაგვიმართლა კიდეც, გოლები მალევე რომ გავიტანეთ. თუმცა მეტოქეც არ ჩანდა მაინცდამაინც ისეთი ძლიერი, რომ ვერ მოგვეგო.

— სხვათა შორის, პეტარ სეგრტის ხელმძღვანელობით გუნდმა პირველად მოიგო სტუმრად...

— სეგრტმა ნამატჩევს მადლობა გადაგვიხადა და შეგვაქო კიდეც.

— სტუმრად სუსტი თამაში ერთგვარ სენად იქცა. რას უნდა დავაბრალოთ?

— ეს მარტო ჩვენთვის არ არის, სტუმრად ხომ ყველას უჭირს. ხანდახან ჩვენც ვიგებთ, აი, ყატარშიც ხომ მოვიგეთ?! საერთოდ, საკუთარი მაყურებლის წინ უკეთ ვთამაშობთ. თუმცა, ცხადია, სტუმრად უკეთესად თამაში გვმართებს.

— ყატარი და ეროვნული ნაკრები ახსენე. წინ ახალი შესარჩევი ციკლია. ელი ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას?

— ეროვნულ ნაკრებში თამაში ვის არ უნდა?! თუ გამომიძახებენ, რაც შემეძლება, ყველაფერს გავიღებ. თან დაუძლეველი ჯგუფიც არ ჩანს...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ყარაბახი ბერაიებს აშორებს

**აგდამის** „ყარაბახის“ ხელმძღვანელობა ირაკლი ბერაიას ტრანსფერზე დაყენებას უპირებს, თუმც, შესაძლოა, გაყიდვა გადაიფიქროს და მისი იჯარით განათხოვრება გადაწყვიტოს.

„ყარაბახის“ ქართველ ნახევარმცველს ტრავმის გამო დიდხანს არ უთამაშია და კლუბის უფროსობას მისი გასხვისება-გაყიდვა ამიტომაც სურს.

თავად ირაკლი და მისი ძმა გოგა (ასევე „ყარაბახის“ ფეხბურთელი) ახლა შვებულებაში არიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვინ ვის შეუთანხმდა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მეტოქეები მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ჯგუფში უკვე შეუდგნენ სერიოზულ მზადებას სამუნდიალო ციკლისთვის და ზოგიერთმა მათგანმა სასურველი სპარინგ-პარტნიორებიც შეარჩია.

აი, მაგალითად, იტალიელები 26 მარტს სტუმრად ესპანელებს შეხვდებიან.

ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, რომელ ქალაქში გაიმართება მატჩი. კანდიდატურა ორია — მადრიდი ან ბარსელონა.

შორს არც კვიპროსის ნაკრებს გაუხედავს და საკონტროლო ტესტად მეზობელი საბერძნეთი აირჩია. ამ გუნდებმა სათამაშოდ უკვე მოილაპარაკეს.

დასაზუსტებელია დეტალები: ვის მოედანზე ჩატარდება მატჩი და კონკრეტული თარიღი — თებერვალი თუ მარტი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ალადაშვილი-მარცვალაძე: დაბრუნება დინამოში თუ დაბრუნება ზაკარპატიეში?

**ორი** ქართველი ფეხბურთელი, კახა ალადაშვილი და ოთარ მარცვალაძე კიევის „დინამომ“ პირველ წრეში უჟგოროდის „ზაკარპატიეში“ გაანათხოვრა.

ჩვენებურებს საიჯარო ვადა უკვე ამოეწურათ და თავიანთ კლუბს უნდა დაუბრუნდნენ.

მოგეხსენებათ, კიეველებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ — რუსი იური სიომინი. როგორ გაგრძელდება უკრაინული გრანდისა და ქართველების ურთიერთობა, ჯერჯერობით უცნობია. ერთი კია, თავად „ზაკარპატიეს“ ხელმძღვანელობას არ ეთმობა ჩვენიანი ფეხბურთელები და მათი საიჯარო ვადის გაგრძელებაზე აქტიურად აგრძელებს მოლაპარაკებას დედაქალაქელებთან.

„მარცვალაძემ და ალადაშვილმა პირველი წრე კარგად ჩაატარეს. ისინი ჩვენი გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელები არიან, ამიტომ „დინამოს“ ხელმძღვანელობას მათი საიჯარო ვადის გაგრძელებაზე ველაპარაკებით. იმედი გვაქვს, ამ მოლაპარაკებას წარმატებით დავასრულებთ“ — განაცხადა უჟგოროდის „ზაკარპატიეს“ მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ შარანმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დავით თარგამაძე ბაიერნთანაც რჩეულია



**დავით თარგამაძე** „ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა: „ფრაის“ ყმაწვილებმა მორიგ ტურში მიუნხენის „ბაიერნის“ თანატოლებთან 2:2 ითამაშეს, თარგამაძემ შეუცვლელად იბურთავა და საგოლე პასიც მიითვალა.

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელმა მიუნხენელებთან მარცხენა გარემარბად ითამაშა, ისევე, როგორც წინა მატჩებში.

„ფრაიბურგის“ ვებგვერდის ფორუმზე კი ჩვენიანს ძალიან აქებენ, სწრაფი და ტექნიკურია, ამასთან, ძლიერი და ზუსტი დარტყმა აქვსო.

„ფრაის“ 19-წლამდელები თანატოლთა ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე არიან.

**ილია ნანობაშვილი**

# ვალდას ივანაუსკასის ქართული კვალი

**ლიტველი** ვალდას ივანაუსკასი ქართველებს ვერ შორდება. ჯერ იყო და, შოტლანდიური „ჰართსის“ მწვრთნელობისას გოგიტა გოგუას გუნდში აყვანა სურდა, შემდეგ კი ქართველებით დახუნძლული იენის „კარლ ცაისის“ მწვრთნელი იყო, მაგრამ სეზონის დასაწყისი ჩაუვარდა და გერმანული კლუბი დატოვა.

უმუშევრად დარჩენილ ივანაუსკასს ახლა თვალი ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“ ხელმძღვანელებმა დაადგეს და ძალიან უნდათ, გუნდი ჩააბარონ. ვლადივოსტოკურ გუნდში კი, მოგეხსენებათ, ლევან გვაზავა და ქართული წარმოშობის ალექსანდრე ჩიხრაძე თამაშობენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემს შკან ინგლისია!



**ფაბიო კაპელო** ამბობს, რომ ინგლისის ნაკრებმა ფეხქვეშ მყარი ნიადაგი დაკარგა და ამიერიდან მისი ამოცანა სწორედ ამ ნიადაგის დაბრუნება იქნება. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, 61 წლის იტალიელი ინგლისელებს საკუთარ ძალთა შერყეული რწმენის დაბრუნებას დაპირდა.

„ეს ძალიან დიდი და რთული გამოწვევაა. როგორც ჩანს, ინგლისის ნაკრებმა ის თავდადება და ჟინი დაკარგა, ადრე ასე რომ გამოარჩევდა სხვათაგან. ეს გახლავთ გუნდი, რომლის წინაშეც უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიური ამოცანა დგას, საკუთარი თავის რწმენა უნდა აღიდგინოს. რუსებთან ინგლისელთა შეხვედრის ვიდეოჩანაწერს ვუყურე და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მოედანზე უსახური გუნდი იდგა. ერთი სიტყვით, ამ გუნდმა თავი უნდა იპოვნოს და ჩემი ამოცანაც სწორედ ეს გახლავთ“ — თქვა ტაქტიკოსმა ლონდონში გამგზავრებამდე იტალიის ტელევიზიით გამოსვლისას. როგორც იმავე საუბარში გაირკვა, კაპელოს ისიც კარგად მოეხსენება, რომ ინგლისში სულ სხვა ხასიათის სირთულეებიც ელის:

„დიდი ფეხბურთელების წვრთნაში გამოცდილება იცოცხლეთ, მაქვს, მაგრამ ამჯერად სხვა სპეციფიკაა, რადგან ამ ყველაფრის უკან ერი დგას. ჩვენს წინაშე კონკრეტული ამოცანაა, ძალიან მოკლე დროში უნდა შევქმნათ ჯანსაღი ატმოსფერო და შევარჩიოთ ის მოთამაშეები, რომლებიც გამარჯვებას შეძლებენ. ჩვენ უნდა მოვაგვაროთ WAG-ების და ნაკრებთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც“.

განვმარტოთ, რა არის WAG. ეს გახლავთ ინგლისური აბრევიატურა ანუ პირველი ასოები ფრაზისა „ცოლები და მეგობარი გოგონები“. და ძალიან გთხოვთ, ამის წაკითხვისას ნუ გაგეცინებათ და ნურც ჩაგეღიმებათ, რადგან ამ WAG-ობამ ინგლისში ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ თავისი წილი კლიმატი შექმნა და მართლა პრობლემად ჩამოყალიბდა. კაპელომ კი განაგრძო:

„ინგლისის ნაკრები ჩემი კარიერის ბოლო აკორდია და მისი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით დაგვირგვინება საუცხოო იქნებოდა. ერთი ხნის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ თანამდებობას მივიღებდი. ერთი სიტყვით, ოცნება ამიხდა. ამიერიდან იმ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად ვიმუშავებ, სადაც ფეხბურთი რელიგიაა“.

კითხვაზე, რისი თქმა შეუძლია იმ მწვრთნელებზე, რომლებიც მის გარდა განიხილებოდნენ ინგლისის ნაკრების თავკაცად, მან უპასუხა:

„მაურინიუ ჩემს მსგავსად ხმელთაშუა ზღვიდან არის. ხმელთაშუა ზღვის კაცი ინგლისში... კიდევ, იყვნენ იურგენ კლინსმანი და მარჩელო ლიპი... ამ ჯგუფიდან არჩევა ჩემთვის უდიდესი პატივია“.

და ბოლოს, რამ გააბრაზა ინგლისის ნაკრების ოდინდელი მწვრთნელი, „პორტუსა“ და „ბარსელონაში“ ნამუშევარი, ჟოზე მაურინიუს მენტორი და საყვარელი მასწავლებელი ბობი რობსონი?

რამ და...

„კეთილი, ტუზი უცხოელი გვყავს, მაგრამ რატომ ვაძლევთ მას საშუალებას, „კაროლი“, „დამა“, „ვალეტი“ და „ათიანი“ თავად მოიყვანოს? ინგლისის ნაკრების სათავეში ხუთი იტალიელის ჩაყენება ჩვენი მხრიდან ნამდვილი სიგიჟეა და მეტი არაფერი“ — აღშფოთდა სერ ბობი, როდესაც შეიტყო, რომ კაპელოს თავის ასისტენტებად ფრანკო ბალდინი, იტალო გალბიატი, ფრანკო ტანკრედი და მასიმო ნერი მოჰყავს.

**ბაჩუნა ძიძია**

# ჩიპით თუ უჩიპოდ?

**როგორც** მოგეხსენებათ, იაპონიაში ახლახან დამთავრებულ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე, რომლის ფინალშიც იტალიურმა „მილანმა“ არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ 4:2 მოუგო, მიკროჩიპიანი ბურთი გამოსცადეს. ამ ბურთზე მოსაზრებები ორად გაიყო — ზოგი იწონებს ფიფას ინიციატივას, ზოგი კი არა.

ალბათ იცით, რომ მიკროჩიპიანი ბურთის შემოღების მიზანი გახლავთ შეცდომების გამორიცხვა იმ შემთხვევაში, როცა ბურთი კარის ხაზის სიახლოვეს, მის ოდნავ გარეთ ან ოდნავ შიგნით ეცემა და მსაჯების გადასაწყვეტია, იყო თუ არა გოლი. ასეთ ვითარებებში არბიტრები ხშირად ცდებიან.

„რამდენიმე ტექნიკური მიზეზის გამო შეიძლება, ეს ბურთი არ მოგვწონდეს, რადგან ძალიან რთული დასარტყმელია და ჯერჯერობით არაჩვეულებრივი ტრაექტორიით მიდის, მაგრამ, შესაბამისად, ამ ბურთის შეკავება მეკარეებისთვისაც უფრო ძნელია“ — განაცხადა „როსონერის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა.

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „კარგია, ადიდასის წინა ბურთებისგან ბევრით არაფრით განსხვავდება. შეცდომებსაც ფაქტობრივად გამორიცხავს“.

„ჩემი გუნდის მცველმა უგო იბარამ თქვა, რომ ამ ბურთს უცნაური ტრაექტორიები აქვს. როცა ამგვარ ექსპერიმენტს ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე ატარებ, ფეხბურთელებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ ბურთთან შესაჩვევად“ — აღნიშნა „ბოკას“ მწვრთნელმა მიგელ ანხელ რუსომ.

ვთქვათ, ექსპერიმენტმა გაამართლა და მაშინ დიდი შანსია, მიკროჩიპიანი ბურთი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიყენონ. შეგახსენებთ, რომ ამგვარი ბურთი 2005 წელს 17-წლამდელთა მუნდიალზეც გამოცადეს. ფიფა საბოლოო გადაწყვეტილებას 2008 წლის მარტში მიიღებს.

**კოკი კანდელაკი**



# რომას შრომა სჭირდება

**კვლავ** დაშავებული ფრანჩესკო ტოტის გარეშე, „რომამ“ ისევ დაკარგა ორი ქულა, ამჯერად, „ტორინოსან“ უგოლო მატჩში და ლიდერ „ინტერს“ უკვე 7 ქულით ჩამორჩება. „ჯალოროსი“ ვეღარც მეორე ადგილზეა მყარად — მესამეადგილოსან ტურინის „იუვენტუსს“ ოდენ ლუჩანო სპალეტის შეგირდებზე ქულით ნაკლები აქვს.

„ჩვენ საკმაოდ აგრესიულ გუნდს ვეთამაშეთ, რომელიც აშკარად უფრო მოტივირებული იყო და ბოლო წუთებში გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ეს სამართლიანი არ იქნებოდა. ძალიან სამწუხაროა, რომ ტოტიმ ვერ ითამაშა. ცხადია, მინდა, რომ ჩესკო სულ მინდორზე მყავდეს, მაგრამ ეს შეუძლებელია. ახალ წლამდე სათქმელი ბევრი აღარაფერია. უნდა ვიშრომოთ, თამაში გამოვასწოროთ და ქულების ფლანგვა შევწყვიტოთ“ — განაცხადა სპალეტიმ.

„ტორინოს“ თავკაცი ვალტერ ნოველინო: „ძალიან სამწუხაროა, რომ ვერცერთი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ამ შეხვედრაში ქულაზე მეტს ვიმსახურებდით. რამდენიმე ტრავმამოშუშებული ფეხბურთელი დაიბრუნდა და ნელნელა სათანადოდ ავთამაშდით“.

**კოკი კანდელაკი**

# რაიკარდს ალბიონი მძახის



**ინგლისურ** პრესაში რომან აბრამოვიჩის ბარსელონურ ინტერესებზე წერენ. რუსი მილიარდერი მზადაა, სამხრეთულ გრანდში „ითევზაოს“ და „ჩელსიდან“ ჟოზე მაურინიუს დათხოვნის შემდეგ „სტემფორდ ბრიჯზე“ კატალონიელთა ამჟამინდელი დამრიგებელი ფრანკ რაიკარდი მიიყვანოს.

ყველაფერი ეს NEWS OF THE WORLD-მა თქვა, კატალონიურმა „სპორტმა“ კი ქვეყანას გაახსენა — აკი ვამბობდით, „ჩელსის“ რონალდინიოსთან ერთად რაიკარდიც აინტერესებსო. ინგლისელები ახლა ჰოლანდიელთან მოლაპარაკებას მართავენ, „ჩელსი“ ფრანკის წაყვანას სეზონის ბოლოს აპირებს.

თუ ბრიტანულ მედიას ვენდობით, რაიკარდმა დეკემბრის ბოლოს „ბარსელონადან“ წასვლის გადაწყვეტილება სახალხოდ უნდა გააჟღეროს. „ოთხწლიანი კატალონიური პერიოდის მერე ჰოლანდიელი „ჰაერის გამოცვლას“ საჭიროებს — ამბობს NEWS OF THE WORLD.

მარტო „ჩელსი“ არაა ფრანკის თვალსაწიერზე, რაიკარდს ჰოლანდიის ნაკრებიც ეპატიჟება (რომელსაც 1998-2000 წლებში წვრთნიდა) და მიუნხენის „ბაიერნიც“.

მართალია, „ჩელსის“ ღლევანდელმა თავკაცმა ავრაამ გრანტმა ლონდონურ კლუბთან სულ ახლახან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ აბრამოვიჩი მაინც რაიკარდის მოსურნეა. რუსს „სტემფორდ ბრიჯზე“ მწვრთნელად პირველხარისხოვანი, ჯილდოებით წელმოგრებული სპეციალისტი სჭირდება და ჰოლანდიელსაც ამიტომ ზვერავს. ფრანკ რაიკარდმა „ბარსელონაში“ ხომ ესპანური პრიმერა და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თან კატალონიურ გუნდს ევროპაში სანახაობრივი თვალსაზრისით ყველაზე წარმტაცი ფეხბურთი ათამაშა.

ამას ყველაფერს ლაღი ბურთაობის მოყვარული აბრამოვიჩი ყურადღებას აქცევს. თან რაიკარდის ექსთანაშემწე ჰენკ ტენ კატიც დღეს ავრაამ გრანტის მოადგილედ შრომობს და რომან არკადიევიჩს სულ ერთსა და იგივეს ჩასჩიჩინებს — იყიდეთ რაიკარდი!

**ლადო ხომერიკი**

# ელ კლასიკოს მოლოდინში

## ალვეში მოღალატეობიდან კაპიტნობამდე

„ხოსე ზორილაზე“ „სევილიას“ ფაციო და ფაბიანო გაუგდეს, თან ვალიადოლიდში ანდალუზიელთათვის უჩვეულოდ ძალური სიცივეც იდგა, თუმცა მანოლო ხიმენესის გუნდის ფანთათვის ეს ამბები პრიმერას მეჩვიდმეტე ტურში ნაჯახირევი 0:0-ის მერე დაკოდილ გულზე ვერაფერი სალბუნი გახლავთ. დანი ალვეშმა ძალიან უჟმურულად ითამაშა. ბრაზილიელი ევროტურნირებზე ძალიან ბეჯითი კი არის, მაგრამ ესპანეთში საკმაოდ ულიმღამოდ გამოიყურება. გავიხსენოთ, რომ სამი თვის წინ ალვეში ინჩასისთვის ყველაზე საძულველი კაცი იყო. მაშინ ფეხბურთელმა „ჩელსიში“ გადასვლის სურვილი მეტისმეტად ჯიუტად გამოთქვა და ლონდონისკენ თავდაღერილ ოკეანისგაღმელს სევილიაში „ტრაიდორი“, ანუ „მოღალატე“ შეარქვეს...

კვირას მწვრთნელმა ხიმენესმა „მოღალატეს“ კაპიტნის სამკლაური მოარგო. შესაძლოა, გულშემატკივრებს ალვეშთან დაკავშირებული ინციდენტი აღარც ახსოვდეთ, თუმცა ზედმეტმა პასუხისმგებლობამ ბრაზილიელს ხელ-ფეხი სულ დაუბორკა — „ესტადიო ხოსე ზორილაზე“ მისი დღე ნამდვილად არ ყოფილა.

## ხოსე ანტონიო რეიესი — კაცი სევილიური სინდრომით

„უელვასთან“ რეიესი ხიმოს ნაცვლად გამოჩნდა მინდორზე და მატჩის ბედის გადაწყვეტაც შეეძლო, თუმცა გოლის გატანა ვერ მოახერხა. საერთოდ, ეს ფეხბურთელი აჩრდილივითაა „ატლეტიკოში“ — თან არის, თან არც არის... მთელი ზაფხული „ატლეტიკოს“, „არსენალსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის სატრანსფერო თავბრუდამხვევმა კარუსელმა რეიესი, ეტყობა, ფსიქოლოგიურ შოკში ჩააგდო და სინამდვილესთან მიახლოებას დღემდე ვერ ახერხებს. და იქნებ ეს „სევილიური სინდრომაა“, როგორც ესპანეთში ამბობენ? ანუ არც დღევანდელი „ატლეტიკო“, არც „რეალი“, რომელსაც ხოსე ანტონიომ შარშან ჩემპიონობა მოუტანა და მაინც დაითხოვეს „ბერნაბეუდან“, და არც ალბიონური „არსენალი“ — ვინძლო, ამ კაცს თავი ისევ მშობლიურ „სევილიაში“ ჰგონია... ვინ იცის.

## კანავარო გონს მოდის

იდეალურიაო, მის ბურთაობაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, მაგრამ ფაბიო კანავარო საამსეზონოდ ნელ-ნელა ემსგავსება იმ კაცს, 2006-ში „ოქროს ბურთი“ რომ მიაკუთვნეს. მაშინ ფაბიო მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ნაკრების კაპიტანი გახლდათ და მარადჟამს სახელგანთქმულ მნათობებზე მონადირე მადრიდის „რეალმაც“ აჰყინებული უმალ „ბერნაბეუზე“ ჩამოაბრძანა. თუმცა კანავაროს პირველი ესპანური სეზონი გაუცუდდა და ლიგაზე კარეუსთან წაგებულმა დუელმაც „რეალის“ ქომაგები სასოწარკვეთაში ჩააგდო...

დღეს ნეაპოლელი მცველი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პეპეს გვერდით თავს მშვენივრად გრძნობს (პორტუგალიელი ექსტრემალური სიტუაციებისას საიმედო „კომპანიონი“ გამოდგა) და მედიის კრიტიკამაც იკლო კანავაროს მისამართით. ისევე, როგორც ძველ კეთილ დროს სერია A-ში, თუ ფაბიოს საიმედო მეწყვილე გამოუჩნდა, თავადაც შესანიშნავად ათამაშდება.

## პირდაღებული ვალენსია

ასე ბეჩავად კარამოვსებული „ვალენსია“ 1997-98 წლების სეზონის მერე არ ყოფილა. მაშინ „ღამურებმა“ ლა ლიგას მეჩვიდმეტე ტურისთვის მხოლოდ 20 გოლი გაუშვეს, წლეულს კი ავბედითი რიცხვი 26-ია.

აღსანიშნავია, რომ ვალენსიელები განსაკუთრებით საშინაო მატჩებში სცოდავენ. ხსენებული 26-დან „ღამურები“ 18 გოლით ვალენსიაში დაისაჯნენ, სტუმრად კი მხოლოდ 8 შემთხვევაში შეცდნენ... 2007-08-ის სეზონში მხოლოდ „მურსიამ“ ვერ გაიტანა „მესტალიაზე“ გოლი. სამხრეთელებმა „ვალენსიასთან“ 0:3 წააგეს, დანარჩენმა შვიდმა სტუმარმა კი ადგილობრივთა კარი დალაშქრა.

რონალდ კუმანის გუნდს სერიოზული გასაჭირი ადგას. საქმე ის გახლავთ, რომ „ვალენსიას“ პრიმერას მთელი ისტორიის მანძილზე შინ ათასზე მეტი მატჩი გაუმართავს და მიმდინარე სეზონამდე 0:3-ით მარტო ექვს შეხვედრაში თუ დამარცხებულა. წლეულს კი გოლუხვ წაგებათა სია კიდევ სამით გაიზარდა, „ღამურები“ 0:3-ით „ვილიარეალთან“, „ბილბაოსთან“ და „ბარსელონასთან“ დამარცხდნენ.

## სასტვენიანი მკვლელები

პერეს ბურული, ველასკო კარბალიო, რუბინოს პერესი, გონსალეს ვასკესი, დელგადო ფერეირო, დაუდენ იბანიესი და აიზა გამესი — მსაჯთა ამ შვიდეულს ესპანურმა მედიამ მეჩვიდმეტე ტურში დაშვებული ბალღური შეცდომებისა და მატჩების არევ-დარევისთვის „სასტვენიანი მკვლელები“ უწოდა. შაბათს გამართულ შეხვედრებში უნდიანო მალენკომ და იტურალდე გონსალესმა „მონჟუიკსა“ და „მესტალიაზე“ მეტ-ნაკლებად კარგად იმსაჯეს, მეორე დღეს ტეიშეირა ვიტიენესსაც არ შეუცოდავს „ბერნაბეუზე“, მაგრამ 7 სხვა საკვირაო მატჩი, არბიტრობის მხრივ, ნაღდად ცალკე გასარჩევია.

ყველაზე ხმაურიანებიდან დავიწყოთ. „დეპორტივო“ — „სარაგოსას“ და „ბეტისი“ — „ალმერიას“ მსაჯების გამო ცეცხლი ეკიდა. პერეს ბურულმა „რიასორზე“ მინიმუმ სამი შეცდომა მაინც დაუშვა ისეთი, მატჩის ბედის შემოტრიალება რომ შეეძლო. 48-ე წუთზე, როცა „სარაგოსა“ 1:0-ს იგებდა, მსაჯმა „დეპორის“ ხისკოს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა, აქაოდა, თამაშგარე იყოო. მერე ადგილობრივთაგან კოლოჩინომ გაიტანა, მაგრამ წესების დარღვევით და პერეს ბურულმაც შეცდომათა ტრადიციას მისდია და ჩათვალა. საბოლოოდ კი სესარის საჯარიმოში ხისკოზე აიალას შეღეგური თავდასხმა ვერ (ან არ) დაინახა და გალისიელთა პენალტიც ქარს გაატანა. არადა, ამ თერთმეტმეტრიან საჯარიმოს „დეპორტივოსთვის“ გულდასამშვიდებელი 1:1-ის კი არა, სამეესტო მოგების მოტანა შეეძლო.

„რუის დე ლოპერაზე“ ველასკო კარბალიო ბობოქრობდა. „ბეტისის“ არგენტინელმა პავონმა გოლი წესების სრული დაცვით შეაგდო, მაგრამ არგენტინელს სიხარული „სასტვენიანმა მკვლელმა“ ჩაუშწარა. შემდეგ სენიორ კარბალიომ პერუელ აკასიეტეს საეჭვოზე საეჭვო გაძევება აჰკიდა, უცნაური პენალტიც გამოაცხო კობენოს გაძევებით, რამაც საბოლოო ჯამში „ალმერიას“ ყოფა უტირა. და რაღა გასაკვირია, რომ მატჩის მერე ალმერიელთა დამრიგებელი უნაი ემერი კარბალიოს დასახრჩობად იწევდა და თავისიანებმა ძლივს გააკავეს.

კვირას მსაჯებზე გაცოფებული სხვა მწვრთნელი „მალიორკას“ გრეგორიო მანსანო იყო. რუბინოს პერესმა „ბილბაოსთან“ 0:0-ზე დასრულებულ ჯახში კუნძულელთა ნუნიესი ტყუილუბრალოდ გააძევა და მრავლისმნახველი სენიორ მანსანო გადარია. წლეულს 16 შეხვედრაში „მალიორკას“ 8 კაცი გაუძევეს.

„ვალიდოლიდი“ — „სევილიას“ ბოლო წამებზე (0:0) გონსალეს ვასკესმა მასპინძლებს პენალტი გადაუქლაპა — სტუმრები ოგბეჩეს ეუხეშნენ საჯარიმოში. „სევილიაც“ არ დარჩენილა კმაყოფილი — ფაციოსაც და ფაბიანოსაც მინდორი საეჭვოდ დაატოვებინეს.

„ხეტაფე“ — „ვილიარეალის“ მსაჯმა დელგადო ფერეირომ „ხეტაფეს“ ნაღდი გოლი გაუუქმა და მერე „ვილიარეალის“ ფუენტესი სულ ტყუილად გააგდო. აიზა გამესმა კი „მურსია“ — „რასინგის“ ჯახში მორატონს ალალი წითელი ბარათი აპატია.

დაუდენ იბანიესის მიერ განსჯილმა „უელვა“ — „ატლეტიკოს“ ზემოთ ხსენებულ მატჩებთან შედარებით მშვიდად ჩაიარა, მაგრამ მასპინძელი მცველები „ოლიკტოა“ სერხიო აგეროს დროდადრო ხაოლოპებით რომ თელავდნენ, მსაჯის ყურადღების მიღმა დარჩა. და ეს ყველაფერი „ბარსელონა“ — „რეალის“ მოლოდინში ხდება. ერთმა ღმერთმა იცის, ტრადიციულად ნერვებისდამწყვეტ „ელ კლასიკოში“ მსაჯთა მხრიდან რა სიურპრიზებს უნდა ველოდოთ.

## ტურის უიღბლო — ლეო მესი

„ელ კლასიკო“ ვახსენეთ და „ბარსელონას“ მთავარ გასაჭირზეც აუცილებლად უნდა ვთქვათ. „ვალენსიასთან“ მატჩის მერე კატალონიელთა სამედიცინო შტაბმა ლეო მესი გასინჯა და ყოველი ბარსელონელი ინჩასისთვის გულისგამგმირავი რამ დაადგინა — ტრავმირებული „პულგა“ ფეხბურთს 4-5 კვირით ჩამოსცილდება, რაც „რეალთან“ მის თამაშს ავტომატურად გამორიცხავს... მესიმ აქამდე გამართულ ბოლო „ელ კლასიკოში“ ჰეთ-ტრიკი შეასრულა, ახლა კი...

## ტურის გმირი — სამუელ ეტოო

ხშირად ხდება ხოლმე, ტრავმირებული ფეხბურთელის ნაკლებ დარეულებს გუნდში თვლიდნენ, მოითმინებით ელიან, მერე ეს ჯგუფი სტუმარს მოირჩევს, ბურთის ფრთხილად გაგორებს, სადღაც ერთთვიანი თავშეხუდი თამაშის შემდეგ ფორმაში ჩადგება და ხალხს გაახარებს. ეტოოს შემთხვევაში მსგავსი არაფერი მომხდარა. რა ერთი თვე, რის ფრთხილი ბურთაობა — აფრიკელმა ყავარჯნის გადაგდება ძლივს მოასწრო და „ბარსას“ მეტოქეებს თავისი გოლებით უკვე სიცოცხლე გაუმწარა... ამბობენ, რომ ეს ყველაზე სახიფათო ეტოოა, „მალიორკას“ დროინდელი სამუელის მსგავსი, „ვალენსიას“ საგოლე რომ აიხრებს და მისგან ადრე მრავალგზის აგდებულ „რეალს“ ისევ რომ ემუქრება. მართალია, მესი არ იქნება, მაგრამ საშიში გუნდს მაინც დიდი ნერვიულობის გადატანა მოუწევს — დიდმა აფრიკელმა ტრავმა მოირჩინა.

**ლადო ხოშერიძე**


დანიელ ალვეში



სამუელ ეტოო

# მესამედ მისვლა ცუდი მისვლაა




**საინტერესო მატჩებით, ინტრიგითა და ემოციებით სავსე, სერია A-ს მე-16 ტურმაც ჩაიარა და channel.com მორიგ ჩანახატს გვთავაზობს. ტურის საუკეთესო ალესანდრო დელ პიეროა, ვინც „სტადიო ოლიმპიკოზე" შესრულებული დუბლით „იუვენტუსს" „ლაციოსთან" მოაგებინა**

### გამარჯვებულები

*ალესანდრო დელ პიერო* (იუვენტუსი) — თუკი ერთ კარში ჯიჯი ბუფონი ლაციოელთა დარტყმებს იგერიებდა, მეორეში დელ პიეროს გოლები გაჰქონდა. „იუვეს" ვეტერანი კაპიტანი, როგორც იქნა, ძირითად შემადგენლობაში მოხვდა და დაამტკიცა, რომ ამის ღირსია. მისი ორი მშვენიერი გოლით საკმაო პაუზის შემდეგ ტურინელებმა საგარეო გამარჯვება მოიპოვეს.

*ამაური* (პალერმო) — „ატალანტასთან" მატჩში მან მეტოქის კარშიც გაიტანა გოლი და საკუთარშიც, მაგრამ ბრაზილიელმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ნიჭი და ჩინებული მატჩი ჩაატარა. სიცილიელთა მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი მას საკუთარ დიდიე დროგბას ეძახის და უკვე ნათელია, რომ ამაურის რომელიმე გრანდში გადასვლა დროის ამბავია.

*სებასტიან ჯოვინკო* (ემპოლი) — ფინტების, ფანდებისა და პასების მორიგი მატჩი და პლუს გოლი. ჯოვინკომ ნამდვილად დაიმსახურა „ჯენოასთან" შეხვედრაში მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელება. „აძურის" ახალგაზრდა ნახევარმცველი ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ტოსკანელთა ლიდერად და თუ ასე გააგრძელებს, მომავალ ზაფხულს „იუვენტუსს" ძალიან გაუჭირდება მის უკან დაბრუნებაზე უარის თქმა.

### დამარცხებულები

*ალესანდრო როზინა* (ტორინო) — ტურინელთა საუკეთესო მოთამაშედ მოიაზრება და, ამის გათვალისწინებით, როზინას საშინელი თამაში „რომასთან" კიდევ უფრო თვალშისაცემი იყო. ბოლო პერიოდში იგი ძალიან ცუდ ფორმაშია და გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებს.

*მარსელო ზალაიეტა* (ნაპოლი) — ნეაპოლელთა მეგოლე „სიენასთან" მატჩში სავსებით დაიკარგა. მან სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო, მაგრამ ტოსკანელებთან უძლიერესი იყო, ეგებ დისკვალიფიცირებული ეზეკიელ ლავეცის არყოფნის გამო. თუმცა თუ „ნაპოლის" უეფას თასის საგზური უნდა, მას ურუგვაელის გოლები სჭირდება, მიუხედავად იმისა, ლავეცი ითამაშებს, თუ არა.

*ანტონიო კასანო* (სამპდორია) — ეს ბიჭი განწირულია იმისთვის, რომ არასოდეს გაიზარდოს. ეს „ფიორენტინასთან" მატჩშიც დადასტურდა. ყველას ესმის, რომ მას ძალიან ეწყინა ყვითელი ბარათის მიღება, რომელიც „რომასთან" თამაშს გამოატოვებინებს, მაგრამ მისი არაადეკვატური რეაქცია — გაბრაზება, ცრემლები და სტადიონზე მოწყობილი აურზაური — სრულად ასახავს მისსავე ხასიათსა და სისუსტეებს. სწორედ ასეთი შინაგანი ბუნების გამო ვერ ავლენს კასანო იმ უდიდეს ნიჭს ბოლომდე, რომელიც ნამდვილად აქვს.

### გოლები

*გორან პანდევი* (ლაციო) — მისი ორი გოლიდან პირველი თავური განსაკუთრებით ლამაზი გამოვიდა. მაკედონიელის ეს გოლი ტომაზო როკისა და მასიმო მუტარელის მოკლე, სწრაფ და ჭკვიანურ კომბინაციას მოჰყვა.

*ალესანდრო დელ პიერო* — კრისტიანო ძანეტის ორი მშვენიერი პასი და მისი ორი ჩინებული დარტყმა — რომელიც გინდათ, ამოირჩიეთ. ცოტა უფრო ლამაზი მაინც მეორე გოლი გახლდათ. დელ პიერომ ძანეტის შორეული გადაცემა ქუსლით მიიღო, მცველებს ჩაურბინა და ცაციათი დარტყმით მარკო ბალოტაც უშანსოდ დატოვა.

*მარკო დონადელი* (ფიორენტინა) — მას ზოგადად ბევრი გოლი არ გააქვს და ეს გარემოება „სამპდორიასთან" მატჩში მის დარტყმას კიდევ უფრო დასამახსოვრებელს ხდის. დონადელმა დაახლოებით 30 მეტრიდან გაისროლა და ძალიან ლამაზი გოლი გამოუვიდა.

### რიცხვები

*საყვარელი „ლაციო":* „ბიანკოჩელესტი" ალექს დელ პიეროს ერთ-ერთი ყველაზე „საყვარელი" გუნდია — სერია A-ში ლედაქალაქელთა კარში გატანილი 10 გოლი მოუგროვდა. „პარმას" ყველაზე მეტი, 12 ბურთი შეუგდო. „ფიორენტინას" კი — 11.

*სახლის ბიჭები:* „ატალანტამ" „პალერმოსთან" შინ წააგო. ეს იყო ბერგამოელთა პირველი წაგება საკუთარ კედლებში თითქმის ერთწლიან პერიოდში. ბოლოს ისინი „სტადიო აძური დიტალიაზე" 2006 წლის 20 დეკემბერს დამარცხდნენ — „უდინეზესთან" 1:2. ამას 7 მოგება და 9 ფრე მოჰყვა.

*პრობლემა სარდინიაზე:* ბოლო ადგილზე მყოფი „კალიარის" პრეზიდენტი მასიმო ჩელინო, შესაძლოა, უკვე ნანობს, რომ მარკო ჯამპაოლო ნედო სონეტით შეცვალა. ვეტერანი ტაქტიკოსის სარდინიელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე მესამედ მისვლა ჯერჯერობით არაცთუ წარმატებულია — 5 მატჩში მხოლოდ 1 ქულა.

# მადლობა ბუფონსა და დელ პიეროს

**მშვენიერი** თამაში გამოვიდა „ლაციო" — „იუვენტუსი". ამ ხუთგოლიან თრილერში მასპინძლები მარცხს არ იმსახურებდნენ, მაგრამ სტუმრებმა თავიანთი შანსები უკეთ გამოიყენეს და უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვეს. ტურინელთა მწვრთნელი კლაუდიო რანიერი შედეგით კმაყოფილია, მაგრამ თამაშით — არა...

„წინ სამი ნაბიჯი გადავდგით, რადგან მოვიგეთ, მაგრამ „ლაციომ", მგონი, იმაზე მეტჯერ დაგვირტყა კარში, ვიდრე მიმდინარე სეზონში ყველა მეტოქემ ერთად. კარგად ნამდვილად არ გვითამაშია. მადლობა ღმერთს, ჯიჯი ბუფონი და ალექს დელ პიერო გვყავს. ჩვენი გამარჯვება მათი დამსახურებაა. როცა იგებ, თან ასეთ მატჩში, წესით, ძალიან ბედნიერი უნდა იყო, მაგრამ უამრავი შეცდომა დავუშვით და, უბრალოდ, გაგვიმართლა, თორემ სამ ქულას ვერ მოვიპოვებდით" — თქვა რანიერიმ.

ბუფონი „ლაციოსთანაც" ჩვეულად ბრწყინავდა. მან რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერია. დელ პიერომ კი ორი მშვენიერი გოლი შეაგდო. თუმცა, შესაძლებელი იყო, „იუვეს" ვეტერანი კაპიტანი ძირითადში არც ყოფილიყო, ვინჩენცო იაკვინტას ტრავმა რომ არ მიეღო.

კლაუდიო რანიერი: „მან წინა მატჩშიც კარგად ითამაშა და დაგვანახა, რომ მშვენიერ ფორმაშია. ვიმეორებ, მატჩი ალექსისა და ჯიჯის წყალობით მოვიგეთ. „ლაციო" კი მართლა ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. ლედაქალაქელებმა დაამტკიცეს, რომ ჩინებულად თამაში შეუძლიათ და თუ ასე გააგრძელებენ, ვითარების გამოსწორება არ გაუჭირდებათ. რაც შეეხება სკუდეტოსთვის ბრძოლას, თავიდანვე ვთქვი, „ინტერი" შემადგენლობით ჩვენზე გაცილებით ძლიერი გუნდია. თუმცა „იუვეს" მებრძოლი სული და გამარჯვებისკენ სწრაფვა კიდევ უფრო მაკვირვებს და მომწონს. „ინტერი" თავად თუ დაკარგავს სკუდეტოს, მაგრამ თუ ასე მოხდა, ძალიან მინდა, რომ იქვე ვიყოთ და ჩემპიონები გავხდეთ".

„ველოდი გუნდის გამოღვიძებას ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ და მიხარია, რომ ეს მოხდა. დაცვაში რამდენიმე შეცდომა დავუშვით, მაგრამ სათანადო შემართება და ჯანმრთელი გუნდი დავინახე, რაც კარგია. სერია A-ში ვითარების გამოსწორებას ახლა ვიწყებთ და სიჩქარეში ვცდებით კიდეც, მაგრამ თუ ასე გავაგრძელებთ, ყველაფერი კარგად იქნება. რაც შეეხება კონტრშეტევებისას დელ პიეროს ორ გოლს, არ მგონია, ეს ტურინელთა ტაქტიკური ჩანაფიქრი ყოფილიყო. უბრალოდ, ორ კონკრეტულ ეპიზოდში სტუმრები უფრო კონცენტრირებულები იყვნენ და ჩვენი შეცდომებით ისარგებლეს — აღნიშნა „ლაციოს" მწვრთნელმა დელიო როსიმ".

**გიორგი ქაქაბაძე**



# რობერტო მანჩინიმ მილანი გაანაწყენა

**მომავალ** უქმეებზე „ინტერი" — „მილანია" და რა გასაკვირია, რომ ამ მატჩის ირგვლივ ვითარება უკვე დღესაა დაძაბული. თუმცა მის გამწვავებაში საკმაოდ დიდი წვლილი „ნერაძურის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ შეიტანა, ვინც ცოტა ხნის წინ თქვა — არ მაინტერესებს, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს „ბოკა ხუნიორსი" მოიგებს თუ „მილანი", ეს ტურნირი ამხანაგურს გავსო. ცხადია, ეს არ მოეწონათ „როსონერის" ფანებს, რომელთა გარკვეულმა ნაწილმაც „ბოკასთან" დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, წარმატება „ინტერის" ოფისების წინ იზეიმა. ამას კი მანჩინის მეორე გამოსვლა მოჰყვა — „მილანისთვის" შეურაცხყოფის მიყენება აზრადაც არ მომსვლიაო...

„მინდა მივულოცო „მილანს" და კარლო ანჩელოტის „ბოკა ხუნიორსთან" გამარჯვება. ვინმეს შეურაცხყოფა არ მიფიქრია, არც ის მითქვამს, „მილანი" ამხანაგურ მატჩს თამაშობს-თქო. უბრალოდ, მივიჩნევ, რომ საკონტინენტთაშორისო თასი უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახლდათ, როცა ყველაფერს ერთი მატჩი წყვეტდა. მგონი, ამაში „როსონერის" წევრებიც დამეთანხმებიან. სკანდალი არაფრისგან შეიქმნა, საკმარისია რამე ვთქვა და პრესა ვითარების დაძაბვას იმ წუთსვე ცდილობს. „მილანზე" მეტს ალარაფერს ვიტყვი" — განაცხადა მანჩინიმ.

ამის მერე „ინტერის" თავკაცი „კალიარისთან" მატჩზე გადაერთო. რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე მყოფმა „ნერაძურიმ" ცოტა კი იწვალა, მაგრამ მაინც მოუგო ბოლოადგილოსან სარდინიელებს.

„მეტოქე მართლა კარგად იყო ორგანიზებული და სივრცეს არ გვაძლევდა, მაგრამ ეს ჩვენი ბრალიც გახლდათ. პირველ ტაიმში ზედმეტად ინერტულები ვიყავით, რაც მეორე ნახევარში გამოვასწორეთ. კრისტიან კივუ ჩინებული ფეხბურთელია და ნიკოლას ბურდისოსა და ხავიერ ძანეტის მსგავსად შეუძლია რამდენიმე პოზიციაზე თამაში. ახლა, როცა ტრავმების გამო ნახევარდაცვაში პრობლემები გვაქვს, კივუ ძალიან სასარგებლოა. სამწუხაროდ, არა მგონია, რომელიმე მოთამაშე დაგვიბრუნდეს „მილანთან" მატჩისთვის. ჩვენი მთავარი საფიქრალი კი დეიან სტანკოვიჩია. შესაძლოა, მას ოპერაცია დასჭირდეს და ამ შემთხვევაში ორი თვით მაინც გამოგვაკლდება" — აღნიშნა მანჩინიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ამორი უკეთაა



„ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი გილერმო ამორი შედარებით უკეთაა — ეს ცნობა ტარაგონის „ვერხე დე ლა სინტა დე ტორტოსას“ საავადმყოფოს ექიმებმა გაავრცელეს. მოგეხსენებათ, ამორი შაბათს სერიოზულ საავტომობილო ავარიაში მოყვა.

„კლინიკური თვალსაზრისით ის სტაბილურადაა და მდგომარეობის იმედისმომცემი გაუმჯობესებაც შეინიშნება — წერია სამედიცინო პერსონალის განცხადებაში — ის ჯერ კიდევ რეანიმაციაშია და ხელოვნურად ვასუნთქებთ“.

40 წლის ამორს კვირა დილით მუცლის ოპერაცია დასჭირდა. გარდა ამისა, მას დაზიანებული აქვს მკერდი და თირკმელები.

გილერმო ამორი „ბარსელონას“ სკოლის აღზრდილია. დიდი კატალონიური გუნდის შემადგენლობაში 1988-98 წლებში 550 თამაში ჩაატარა. ეს კლუბის ისტორიაში მესამე შედეგი გახლავთ. ის გახლდათ იოჰან კრუიფის მწვრთნელობის დროინდელი „ოცნების გუნდის“ წევრი და ხრისტო სტოიჩკოვთან, რომარიოსთან, ხოსეპ გვარდიოლასა და სხვა ვარსკვლავებთან ერთად მოიპოვა ჩემპიონთა თასი, ორჯერ თასების მფლობელთა თასი, ხუთჯერ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და სამჯერ სამეფო თასი.

„ბარსელონას“ გარდა ამორმა ცოტა ხანი დაჰყო „ვილიარეალსა“ და იტალიურ „ფიორენტინაში“. მან 27-ჯერ მოირგო ესპანეთის ნაკრების მაისური.

**ბაკურა ძიდია**

# ბარელი ხულიგნის ისტერიკა და ცრემლები

**ანტონიო კასანო** ისევ ყურადღების ცენტრშია. „ხულიგანმა“ კვლავ კარგად ითამაშა და „სამპდორიამ“ მისი გოლით ქულა აიღო „ფიორენტინასთან“ დაძაბულ და საკმაოდ უხეშ მატჩში (2:2). თუმცა მთავარი ამბავი გოლამდე მოხდა, კასანოს (მისი აზრით) სულ ტყუილად აჩვენეს ყვითელი ბარათი და ისიც წყობიდან გამოვიდა... ამ ყვითელი ბარათის გამო „ხულიგანს“ მომავალ უქმეებზე თავის ყოფილ კლუბთან, „რომასთან“ საგარეო მატჩის გამოტოვება მოუწევს, რომელსაც ამდენი ხანი ელოდა და ამიტომ გალიზიანდა ასე მწარედ „სამპის“ ლიდერი. გაბრაზებული და ატირებული კასანო ცდილობდა მსაჯისთვის აეხსნა, გაფრთხილებას არ ვიმსახურებდიო, მაგრამ ამაოდ. ისტერიკაში ჩავარდნილ თავდამსხმელს ორივე გუნდის ფეხბურთელები და გუნდელთა მწვრთნელთა შტაბის წევრები ამშვიდებდნენ... ეს სანახაობა საკმაო ხანს გაგრძელდა.



„ყოფილ კლუბთან შეხვედრა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო. ძალიან მწყდება გული, რომ „რომას“ წინააღმდეგ ვეღარ ვითამაშებ. იმედია, თანაგუნდელები კარგ საახალწლო საჩუქარს გამიკეთებენ და ამ მატჩს მოიგებენ. აღარ მინდა ამ თემის ირგვლივ აურზაურის ატეხვა, მაგრამ ნამდვილად არაფრის გამო, უსამართლოდ გამაფრთხილეს. ცუდი არაფერი მითქვამს, უბრალოდ ლაინსმენს მინდვრისკენ მივუთითე და ვუთხარი, ჯარიმა არ იყო-თქო. დიდ მადლობას ვუხდი „სამპდორიას“ ფანებს, რომლებიც კვლავ გვერდზე დამიდგნენ. რთულ პერიოდებში ისინი ყოველთვის თანადგომას მგრძნობინებენ ხოლმე“ — თქვა კასანომ.

გუნდელთა მწვრთნელი ვალტერ მაცარი: „უნდა ვცადოთ და ანტონიოს გავუგოთ. იგი ძალიან დაძაბულია და ნერვიულობს. კასანო „რომასთან“ შეხვედრას განსაკუთრებულად ელოდებოდა. მან ლაინსმენს მიანიშნა, ჯარიმა არ იყოო, თანამაჯმა კი მთავარ არბიტრს უთხრა, კასანოს ყვითელი ბარათი მიეცი. ანტონიოც გაბრაზდა, რადგან ეს უსამართლო გაფრთხილება იყო. ამ შემთხვევაში იგი ნამდვილად მართალია.“

„იგივე მე რომ გამეკეთებინა, საერთოდ გამაგდებდნენ მინდვრიდან. წითელი და ყვითელი ბარათები ბევრად ნაკლები „დანაშაულისთვისაც“ მოუციათ. სამწუხაროდ, ფეხბურთში ასეთი რაღაცეებიც ხდება. არადა, „სამპდორიას“ 10 კაცით რომ დარჩენილიყო, დარწმუნებული ვარ, მოვიგებდით. თუმცა ფრეც არ არის ურიგო შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით“ — დაჩივლა „ფიორენტინას“ ნახევარმცველმა მარკო დონადელმა.

**ძოძი ძანდელაკი**

## მორფეო გარბის

**„პარმას“** 31 წლის ნახევარმცველი დომენიკო მორფეო [illegible] გუნდიდან აპარგებას აპირებს. 31 წლის იტალიელს მწვრთნელ დომენიკო დი კარლოსთან ურთიერთობა წაუხდა. პარმელთა პრეზიდენტმა ტომაზო გირარდიმ განაცხადა: „მორფეოს აგენტს შევხვდი, მაგრამ პირადად დომენიკოსთან არ მისაუბრია. სხვა ფეხბურთელის გადმობირება მსურს და ახლო მომავალში ვნახავთ, რა მოხდება“. ამბობენ, რომ 31 წლის გამთამაშებლის გადაბირება სერია C1/A-ს კლუბ „კრემონეზეს“ სურს.

## კორეიდან პრემიერლიგაში

**სამხრეთკორეელი** კიმ დო-ჰეონი ჩემპიონლიგის „ვესტ ბრომვიჩში“ გადადის. „მოლაპარაკება მიმდინარეობს და გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მივიღებთ“ — თქვა ფეხბურთელის ამჟამინდელი კლუბის „სეონგნამის“ დირექტორმა. კორეელი ნახევარმცველით სხვა გუნდებიც არიან დაინტერესებული, მაგრამ თვითონ ინგლისში გადასვლაზე ოცნებობს. კიმ დო-ჰეონმა მსოფლიოს 2006-წლის ჩემპიონატზე ნაკრებში ითამაშა.

## ფიფას სიმაღლე

**ბოლივიის** პრეზიდენტმა ევო მორალესმა ფიფას გადაწყვეტილება გააპროტესტა, რომლის თანახმად, ზღვის დონიდან 2 750 მეტრზე მაღლა საერთაშორისო მატჩების გამართვა აიკრძალა. „ეს დისკრიმინაციაა იმ ხალხების მიმართ, რომლებიც 3 600 მეტრ სიმაღლეზე ცხოვრობენ“ — თქვა მორალესმა — ფიფაში არ ესმით, რას ნიშნავს ეს პოტოსიში, ორუროში და ლა პასში მცხოვრებთათვის“.

## ფულემის კორეული მომავალი

**„ევროსპორტის“** ცნობით, „ფულემის“ მწვრთნელმა ლორი სანჩესმა დაადასტურა, რომ კლუბი კორეელი მცველის სონ ჩონ გუკის შეძენას აპირებს. 28 წლის ფეხბურთელს დეკემბრის ბოლოს „სუვონ სამსუნგთან“ კონტრაქტი უმთავრდება და შესაძლოა, ინგლისურ გუნდში უფასოდ გადაბარგდეს.

## დიარას თოფი მოსწყინდა

**„არსენალის“** ნახევარმცველი ლასანა დიარა კლუბის გამოცვლას ლამობს, რადგან ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ. 22 წლის ფრანგი „ჩელსიდან“ „მეთოფეებში“ ამ ზაფხულს გადავიდა. ნაკრებში მას რაიმონ დომენეკი მუდმივად უხმობს, მაგრამ გუნდში არსენ ვენგერს თავი ვერ მოაწონა. ამ სეზონში დიარამ მხოლოდ ექვსი მატჩი ითამაშა.

## სანტოსი ლეაოს ერგო

**„სანტოსის“** მწვრთნელობა ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მეკარეს, ლეაოს შეთავაზეს და ისიც დათანხმდა. კონტრაქტი მალე გაფორმდება და ლეაო მუშაობას 2008 წლიდან შეუდგება. კლუბის პრეზიდენტის მარსელუ ტეიშეირას განცხადებით, დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი. „სანტოსს“ აქამდე ვანდერლეი ლუშემბურგო თავკაცობდა, მაგრამ წასვლა გადაწყვიტა, რადგან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე ტეიშეირასთან ვერ მორიგდა.

## გომესი გრძელდება

**პსვ-ს** ბრაზილიელმა მეკარემ ეურელიუ გომესმა კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე გაახანგრძლივა. იგი ჰოლანდიურ გუნდში მეოთხე სეზონს ატარებს და მისი გარჯით კმაყოფილები არიან. მანამდელი ხელშეკრულება 2011-ში ეწურებოდა. გომესამდე პსვ-ში დარჩენა ტიმი სიმონსმა, იბრაჰიმ აფელაიმ და კარლოს სალსიდომ გადაწყვიტეს. ეინდჰოვენში სამივე 2013 წლის ზაფხულამდე ითამაშებს.

## სამთვიანი ბოდიში ებუესგან

**„ჩელსის“** შემტევმა სალომონ კალუმ განაცხადა, რომ არსენალელმა ემანუელ ებუემ ჯონ ტერის მოუბოდიშა. კვირის ნერვიულ მატჩში „მეთოფეებმა“ დერბიში თანაქალაქელები 1:0 დაამარცხეს. პირველი ტაიმის ბოლოს ებუემ ტერის ფეხი გამოუსვა. რის გამოც ჩელსელთა კაპიტანი სამი თვე ვეღარ ითამაშებს. კალუს ებუესთან უსაუბრია, ვისთვისაც უთქვამს, რომ ეს შეგნებული უხეშობა იყო და წითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამ არსენალელმა უარყო, „მან მითხრა, რომ მხოლოდ ბურთის წართმევას ცდილობდა და შეგნებულად არ წაუქცევია მეტოქე. ემანუელმა ბოდიში მოიხადა და ეს უკვე კარგია. ტერის გარეშე ალბათ ძალიან გაგვიჭირდება“ — ბრძანა კალუმ.

## პლასენტემ ბაზარს მიაკითხა

**არგენტინელი** დიეგო პლასენტე დამდეგ სატრანსფერო ბაზარზე სამომავლო კლუბს მოძებნის. მისი სარეკლამო განცხადება დაახლოებით ამდაგვარი იქნება — „გამოცდილი მარცხენა მცველი, ვინც „რივერ პლეიტთან“ ერთად არაერთხელ გამხდარა არგენტინის ჩემპიონი და ხუთი წლის განმავლობაში გერმანულ „ლევერკუზენში“ იბურთავა. ყოველგვარი სატრანსფერო გადასახადის გარეშე, უფასოდ“. პლასენტე ბოლოს ვიგოს „სელტაში“ თამაშობდა. ახლა 30 წლის უკანასკნელი თავისუფალია და ახალ გუნდს ეძებს.

ვინ შეიფარავს დიეგოს? მსურველი ბევრია, იტალიური „სამპდორია“ და „რეჯინა“, ალემანური „ჰერტა“ და „აინტრახტი“, ინგლისური „მიდლსბრო“ და „უიგანი“, ასევე შვეიცარიული „ბაზელიც“.

„სელტაში“ არგენტინელმა 58 მატჩი გამართა, იქამდე კი „ლევერკუზენთან“ ერთად ბუნდესლიგაში 133 შეხვედრა ჩაატარა. პლასენტე 2002 წლის მუნდიალის მონაწილეც არის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არავითარი სხვა ინტერი ამაზე მეტი...

**ინტერვიუ ჟურნალისტიკის ურთულესი ჟანრია, უამრავი სახითა და იერით, ბოლო წლების ტექნოლოგიურმა პროგრესმა კი კიდევ ერთი სახე შესძინა: ინტერნეტ-ინტერვიუ, ეგრეთწოდებულ ონლაინ რეჟიმში. სხვა სიტყვებით, ესა თუ ის საიტი (ამ შემთხვევაში uefa.com-ი) უთანხმდება ვარსკვლავს და აცხადებს იმ დროს, როდესაც იგი კომპიუტერს ჩართავს და კითხვებზე საპასუხოდ მზად იქნება. დათქმულ დროს კითხვებს ინტერნეტის საშუალებით ხალხი აგზავნის და პასუხსაც მყისიერად იღებს. გთავაზობთ „ინტერისა" და არგენტინის ნაკრების ვეტერანი ვარსკვლავის ხავიერ ძანეტის საუბარს მილეთის ხალხთან.**



**— როგორ გახდით პროფესიონალი ფეხბურთელი? გვიამბეთ თქვენი პირველი ნაბიჯების შესახებ.**

— ჩემი ამბავი ძალიან ჰგავს ფეხბურთელთა დიდი უმრავლესობის ამბავს. თამაში პატარაობაში დავიწყე. ფეხბურთი ყოველწლიურად სულ მეტად და მეტად მითრევდა, თუმცა, ფულის შოვნა ან მაინცდამაინც პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბება იდეაფიქსად არ მქცევია. როდესაც „ტალერეს დე რემედიოს დე ესკალადას" ძირითად შემადგენლობაში მოვხვდი, მივხვდი, რომ ოცნება ამიხდა.

**— ბევრი ცნობილი ფეხბურთელი კარიერის ბოლოს არაბეთში მიდის სათამაშოდ. თქვენც ხომ არ აპირებთ იმავე გზის გავლას? არასდროს გიფიქრიათ ყატარში წასვლაზე?**

— საქმე ის გახლავთ, რომ კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ. სხვა ამბავია, რომ ფეხბურთში წინასწარ ვერასდროს იტყვი, რა და როგორ მოხდება, ასე რომ, გამორიცხვითაც ნამდვილად ვერაფერს გამოვრიცხავ. ჩემს ყოფილ თანაგუნდელთაგან რამდენიმე, მაგალითად, გულიელმინპიეტრო და ბატისტუტა, მართლაც იყვნენ არაბეთში და კარიერის დასასრული იქ გაატარეს, თუმცა ეს ისეთი საკითხია, კარგად დაფიქრება და, რაც მთავარია, ოჯახის წევრებთან მოლაპარაკება უნდა.

**— „ინტერში" დიდი ხანია თამაშობთ და ამ ხნის განმავლობაში გუნდი რამდენჯერმე გადახვაფერდა. რომელ წლებში იყო გუნდი ყველაზე ძლიერი? როდის უფრო მეტად შეგეძლოთ ჩემპიონთა ლიგის მოგება?**

— მართლაც გამიმართლა. ძალიან ძლიერ „ინტერში" მომიწია თამაშმა და ძალიან ძლიერი ფეხბურთელების მხარდამხარაც მიგორებია ბურთი. ყველაზე ძლიერი გუნდი კი დღეს გვყავს. საქმე ის არის, რომ ახლანდელი „ინტერი" უფრო ღრმა ფეხბურთს თამაშობს. დღეს ყოველ პოზიციაზე ორი უმაღლესი დონის ფეხბურთელია.

**— „ინტერში" გატარებული წლებიდან რომელი წუთი, რომელი მომენტი გახსენდებათ ყველაზე მეტად?**

— „ლაციოს" უეფას თასის ფინალი (3:0) რომ მოვუგეთ. ეს 1998 წელს მოხდა.

**— თქვენ განა მხოლოდ ვარსკვლავი, ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის სამაგალითო მოთამაშეც ბრძანდებით. თქვენ ვილას ბაძავდით ბავშვობაში?**

— დიდი მადლობა ქებისთვის. ახალგაზრდებისთვის მაგალითად ყოფნა ჩემთვის დიდი პატივია. მართლაც, სულ იმის ცდაში ვარ, ჩემი ყოველი ნაბიჯი მისაბაძი იყოს. ბავშვობაში „ინდეპენდიენტეს" ვქომაგობდი და ენრიკე ბოჩინის ვეთაყვანებოდი. ის გამთამაშებელი და კლუბისთვის ნამდვილი ლეგენდა გახლდათ. ბოჩინიმ მთელი კარიერა ერთ კლუბში გაატარა. სხვათაშორის, ბოჩინის ფანი გახლდათ მარადონაც. ახლა, როდესაც ვფიქრობ, რომ იტალიაში „ინტერისთვის" არასდროს მიღალატია, თავს ბოჩინის ვადარებ, თუმცა საგოლე პასებში აბა, სად ის და, სად მე.

**— არგენტინის ნაკრებში ერთიხანობა აღარ გიძახებდნენ, მაგრამ ახლა ისევ ეროვნულ გუნდში ხართ. რა განსხვავებას ხედავთ ახლანდელ და წინა არგენტინის ნაკრებებს შორის?**

— ისევე როგორც „ინტრეში", არგენტინის ნაკრებშიც გამიმართლა, რამდენჯერმე მართლაც ძალიან ძლიერი გუნდი შევკრიბეთ, თუმცა ნიჭიერ ახალგაზრდათა და ვეტერანთა ისეთი ნაზავი დღეს რომ გვყავს, ადრე არასდროს გვყოლია. იმედი მაქვს, რომ ჩემს სიტყვებს დროც დაამტკიცებს და არგენტინის ნაკრები რომელიმე დიდ ჯილდოს მოიპოვებს. სწორედ ეს არის ის, რაზეც ვოცნებობთ.

**— ამერიკელ ფეხბურთელებზე რას გვეტყოდით? იტალიაში სულ თითზე ჩამოსათვლელი ამერიკელები გამოდიან. როგორ ფიქრობთ, რა აკლიათ ამ ქვეყნის მოთამაშეებს?**

— აშშ-ის ნაკრებთან უკლებლივ ყველა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიმიღია, საოცრად დაძაბული და ძნელი იყო, ასე რომ, ვფიქრობ, ამ ქვეყნის ფეხბურთელებს არაფერი აკლიათ. თან, ბოლო წლებში ამ ქვეყანაში ლიგაც ძლიერდება, სულ უფრო მეტი გამოცდილი ფეხბურთელი ჩადის იქ სათამაშოდ და თავისი ცოდნა ჩააქვს. ერთი სიტყვით, ამერიკელების ევროპაში უფრო აქტიურად გამოჩენა მხოლოდ დროის ამბავიდაა.

**— ვინ არის „ინტერში" თქვენი საუკეთესო თანაგუნდელი და რა თვისებით გამოარჩევდით მას?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. მე შემიძლია ჩამოგითვალოთ უამრავი ნამდვილი ვარსკვლავები და ნამდვილი თანაგუნდელები, რომლებსაც მხარში ვდგომა იციან.

**— თქვენ იტალიაში ფრანჩესკო ტოტისთან და ალექს დელ პიეროსთან ერთად ყველაზე ერთგული ფეხბურთელის სახელს ატარებთ. რამ გაიძულათ მთელი კარიერა „ინტერში" გაგეტარებინათ?**

— ადამიანი ვერ ხვდება როდის ჩამოყალიბდა თილისმად, თუმცა, მგონი ამაში მთავარი როლი ჩემმა თამაშის სტილმა და პიროვნულმა ხასიათმა ითამაშა. ფანებიც ყოველთვის ხაზგასმით კარგად მექცეოდნენ.

**— ფეხბურთის თამაშს თავს რომ დაანებებთ, მწვრთნელი უნდა გახდეთ?**

— არა, მწვრთნელობა აზრად არასდროს მომსვლია. ისე, ფეხბურთიდან წასვლა არ მინდა, მსურს დარჩენილი ცხოვრებაც ამ თამაშს მივუძღვნა, მაგრამ მწვრთნელობას აშკარად არ ვაპირებ.

**— „ინტერი" სერია A-ს ბოლო ორი სეზონის ჩემპიონია. ახლა რას არჩევთ, მესამე ტიტულს თუ ჩემპიონთა ლიგას?**

— არჩევას არ ვაპირებ, სკუდეტოც მინდა და ჩემპიონთა თასიც. ჯერჯერობით ორივე ფრონტზე ვაგრძელებთ ბრძოლას და ამდენად, გამორიცხული არაფერია.

**— ადრიანოს რა სჭირს?**

— „ადრის" რთული პერიოდი უდგას, თუმცა ის ყველა დონეს ხმარობს სირთულეები რომ გადალახოს. ეჭვი არ მეპარება, ყველაფერი კარგად იქნება.

**— ასეთ დიდ კარიერას, ალბათ ბავშვობაში მსხვერპლი დასჭირდა. რაზე თქვით უარი და რაზე გწყდებათ გული?**

— იმ ბიჭებს, რომლებიც ფეხბურთელობას აპირებენ, მინდა კატეგორიულად ვურჩიო, განათლებაზე უარი არავითარ შემთხვევაში არ თქვან. ფეხბურთელის კარიერას სწავლა არ უნდა შეეწიროს. სხვა მხრივ კი, ფეხბურთით უნდა იცოცხლო და ისიამოვნო.

# ბერლუსკონის ვარაუდები

**„მილანის"** პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ „როსონერის" ოფიციალურ ტელეარხთან საუბარში რამდენიმე საინტერესო კომენტარი გააკეთა. უპირველესად, ალესანდრე პატოზე ნათქვამი სიტყვები უნდა გამოვარჩიოთ.

18 წლის ბრაზილიელი ფორვარდი უკვე რამდენიმე თვეა, „მილანთან" ერთად ვარჯიშობს, მაგრამ თამაშის უფლება 3 იანვრიდან ექნება და მისათამაშებას ყველა დიდი ინტერესით ელის, მით უმეტეს, გაცემული ავანსების შემდეგ.

სილვიო ბერლუსკონი: „ჩვენ ველოდებით ნამდვილი, დიდი ჩემპიონის ათამაშებას, რომელიც გუნდს გამოაცოცხლებს. პატოს შესახებ კარლო ანჩელოტის ვესაუბრე და მან მითხრა, თუ ისე გააგრძელებს, როგორც ვარჯიშებზე გამოიყურება, ივნისისთვის 30 გოლი ექნება გატანილი".

პატოს გამოცდილი თანამემამულე რონალდო კვლავ ტრავმირებულია და ჯერ ზუსტად უცნობია, როდის დაუბრუნდება მინდორს. ბერლუსკონი ამ შემთხვევაშიც ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„რონალდოს დაბრუნებას ყველანი ველოდებით. ბოლო ნახევარ წელიწადში იგი ტრავმებმა გააწამეს, მაგრამ მჯერა, მალე მომჯობინდება და ძველებურად ათამაშდება" — აღნიშნა „მილანის" პრეზიდენტმა.

„როსონერის" ვეტერანმა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს ალბათ კარიერას დაასრულებს და სურს, ეს მაქსიმალურად წარმატებულად გააკეთოს და ფეხბურთიდან ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთხელ მოგების მერე წავიდეს.

„პაოლო ექსტრაორდინალური ადამიანი და ნამდვილი პროფესიონალია — ამბობს ბერლუსკონი — მალდინის საოცარი კარიერა აქვს. უპრალოდ, მეტს ვერ მოთხოვ. მან „მილანის" ისტორიის დიდი ნაწილი შექმნა და სამუდამოდ დარჩება ჩვენი გუნდის ფანთა გულებში. იმედია, მალდინი კლუბში რომელიმე პოსტს დაიკავებს და „მილანიდან" არ წავა".



დაბოლოს, „მილანის" პრეზიდენტს „ინტერთან" გასამართ ქალაქურ დერბიზეც ჰკითხეს: „კარაული? მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე დიდი გამარჯვების შერე ცხადია, გუნდი შედარებით მოდუნებულია, მაგრამ „ნერაძურასთან" შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებულია და დარწმუნებული ვარ, ბიჭები მინდორზე მაქსიმალურად შემართულნი და კონცენტრირებულნი გავლენ, თამაშს წაიყვანენ და მოიგებენ კიდეც".

**გიორგი კაკაბაძე**

# ბრიტანელთა ყველაზე საცოდავი შევჩენკოა

**„დეილი მეილმა"** ინგლისში გამოკითხვა ჩაატარა და იქაურებმაც უკრაინელი ანდრეი შევჩენკოს „ჩელსიში" გადასვლა პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე უიღბლო ტრანსფერად აღიარეს.

გამოკითხვაში სულ 6 667 ფანმა მიიღო მონაწილეობა. ამათგან 2 587-მა, ანუ გამოკითხულთა 40-მა პროცენტმა დასკვნა, რომ ეს ხმიანენილი ფორვარდი, რომლის ხანაცვლოდაც „ჩელსიმ" აჰენიერ გრანდს 48 მილიონი ევრო გადაუხადა, ინგლისელთა უმაღლესი ლიგის ისტორიაში ყველაზე საცოდავ და არამდგარ ფეხბურთელად გადაქცეულა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ბრიტანელებმა შევჩენკოს მერე ვინ ჩასვეს. რიგით მეორე უიღბლო ტრანსფერი აღმოჩნდა ექსმანჩესტერელი ხუან სებასტიან ვერონი, მესამეზე კი „ტოტენჰემის" უკრაინელი მოთამაშე სერგეი რებროვია. „დეილი მეილს" თუ დავუჯერებთ, ანდრეი შევჩენკო, მიუხედავად ბრიტანული წარუმატებლობისა, „ჯენტულიდან" ფეხის მოცვლასაც არ აპირებს. არადა „შევას" ამერიკელები ეპატიჟებიან და ხოლიდურ ანაზღაურებასაც სთავაზობენ.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია III დივიზიონი 18 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 21 | დამბარტონი-ისტ სტერლინგი | 2.10 | 3.50 | 2.80 | 1.31 | 1.20 | 1.55 |
| | | უეფას თასი 19 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 1 | ცურიხი-ლევერკუზენი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 23:45 | 2 | ტულუზა-სპარტაკი მ | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 23:45 | 3 | ბოლტონი-ცრვენა ზვეზდა | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 23:45 | 5 | ბაიერნი-არისი | 1.30 | 4.10 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 2.90 |
| 23:45 | 7 | [illegible] | 1.90 | 2.90 | 4.60 | 1.14 | 1.34 | 1.77 |
| 23:45 | 8 | [illegible] | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 23:45 | 9 | [illegible] | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 23:45 | 10 | [illegible] | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| | | 20 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 12 | ალკმაარი-ევერტონი | 1.65 | 3.60 | 4.50 | 1.13 | 1.20 | 2.00 |
| 23:45 | 13 | ლარისა-ნიურნბერგი | 4.50 | 3.60 | 1.70 | 1.99 | 1.23 | 1.15 |
| 23:45 | 14 | ატლეტიკო-პანათინაიკოსი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 23:45 | 15 | აბერდინი-კოპენჰაგენი | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 23:45 | 16 | [illegible] | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 22 | [illegible] | 1.20 | 6.00 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.67 |
| 23:45 | 24 | [illegible] | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:45 | 26 | [illegible] | 1.95 | 3.50 | 3.20 | 1.25 | 1.21 | 1.67 |
| | | ინგლისი Carling Cup 18 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 18 | სიტი-ტოტენჰემი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 19 | ბლეკბერნი-არსენალი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 20 | ჩელსი-ლივერპული | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ესპანეთის თასი 19 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 27 | [illegible] | 8.00 | 4.35 | 1.32 | 2.81 | 1.13 | 1.01 |
| 23:45 | 28 | [illegible] | 1.80 | 3.25 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.79 |
| 23:45 | 29 | [illegible] | 8.00 | 4.50 | 1.30 | 2.88 | 1.11 | 1.00 |
| | | [illegible] 18 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 395 | [illegible] | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 21:00 | 396 | [illegible] | 1.90 | 4.20 | 2.70 | 1.30 | 1.11 | 1.64 |
| 21:00 | 397 | [illegible] | 1.40 | 4.50 | 4.30 | 1.06 | 1.05 | 2.19 |
| 21:00 | 398 | [illegible] | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| 21:00 | 399 | [illegible] | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 21:00 | 400 | [illegible] | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| | | [illegible] 18 დეკემბერი | | | | | | |
| 20:30 | 407 | [illegible] | 1.80 | 4.20 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 20:30 | 408 | [illegible] | 1.40 | 4.50 | 4.30 | 1.06 | 1.05 | 2.19 |
| 20:30 | 409 | [illegible] | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 20:30 | 410 | [illegible] | 1.30 | 4.80 | 5.50 | 1.02 | 1.05 | 2.56 |
| 20:30 | 411 | [illegible] | 1.25 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.72 |
| 20:30 | 412 | [illegible] | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 20:30 | 413 | [illegible] | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| | | [illegible] 18 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 442 | [illegible] | 1.60 | 4.30 | 3.30 | 1.16 | 1.07 | 1.86 |
| 20:00 | 443 | [illegible] | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 20:00 | 444 | [illegible] | 2.45 | 4.10 | 2.00 | 1.53 | 1.10 | 1.34 |
| 20:00 | 445 | [illegible] | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| 20:00 | 446 | [illegible] | 1.50 | 4.30 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.12 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | [illegible] 18 დეკემბერი | | | | | | |
| 22:45 | 466 | [illegible] | 1.60 | 4.30 | 3.50 | 1.16 | 1.09 | 1.92 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 22:45 | 467 | [illegible] | 1.22 | 5.30 | 6.50 | 1.00 | 1.02 | 2.91 |
| 22:45 | 468 | [illegible] | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 22:45 | 469 | [illegible] | 1.50 | 4.30 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.12 |
| 22:45 | 470 | [illegible] | 1.65 | 4.30 | 3.30 | 1.19 | 1.10 | 1.86 |
| 22:45 | 471 | [illegible] | 2.50 | 4.20 | 2.00 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| 22:45 | 472 | [illegible] | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| | | [illegible] 19 დეკემბერი | | | | | | |
| 18:00 | 485 | [illegible] | 1.25 | 4.50 | 4.80 | 1.00 | 1.00 | 2.32 |
| 18:30 | 486 | [illegible] | 2.90 | 4.30 | 1.55 | 1.73 | 1.01 | 1.13 |
| 18:00 | 487 | [illegible] | 1.85 | 4.30 | 2.45 | 1.29 | 1.05 | 1.56 |
| 20:00 | 489 | [illegible] | 2.90 | 4.30 | 1.55 | 1.73 | 1.01 | 1.13 |
| 20:00 | 490 | [illegible] | 1.85 | 4.40 | 2.40 | 1.30 | 1.04 | 1.55 |
| 17:00 | 491 | [illegible] | 2.40 | 4.20 | 1.85 | 1.52 | 1.04 | 1.28 |
| 16:00 | 492 | [illegible] | 1.85 | 4.40 | 2.40 | 1.30 | 1.04 | 1.55 |
| 17:00 | 493 | [illegible] | 1.70 | 4.30 | 2.70 | 1.21 | 1.04 | 1.65 |
| 20:00 | 494 | [illegible] | 1.65 | 4.30 | 2.80 | 1.19 | 1.03 | 1.69 |
| | | იტალიის თასი 19 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 30 | ტორინო-რომა | 3.70 | 3.10 | 1.95 | 1.68 | 1.27 | 1.19 |
| 23:30 | 31 | რეჯინა-ინტერი | 7.00 | 3.50 | 1.45 | 2.33 | 1.20 | 1.02 |
| 23:30 | 32 | [illegible] | 2.00 | 3.00 | 3.70 | 1.20 | 1.29 | 1.65 |
| 23:30 | 33 | უდინეზე-პალერმო | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| | | 20 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 34 | მილანი-კატანია | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10018 | სიტი-ტოტენჰემი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10019 | ბლეკბერნი-არსენალი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10020 | ჩელსი-ლივერპული | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11018 | სიტი-ტოტენჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11019 | ბლეკბერნი-არსენალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11020 | ჩელსი-ლივერპული | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12019 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12020 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13020 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14019 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.90 | 1.90 |
| 14020 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 2.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15018 | სიტი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ბლეკბერნი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.95 |
| 16019 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.80 | 1.85 |
| 16020 | ჩელსი-ლივერპული | 1.34 | 2.80 |

### გოლი:ფუვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფუვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ჭადრაკი

# კამსკის დიდი დაბრუნება



**მსოფლიოს** თასის მფლობელი ამერიკელი გატა კამსკი 1974 წელს რუსეთში, ნოვოკუზნეცკში დაიბადა. ჭადრაკის თამაში ადრეულ ასაკში დაიწყო და ყმაწვილობაში უკვე დიდი მიღწევებიც ჰქონდა. 1989 წელს იგი ამერიკაში გადავიდა, 1996 წელს კი რუს ანატოლი კარპოვთან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წააგო და განაწყენებულმა კარიერა დაასრულა. სამი წლის შემდეგ დიდოსტატი ლას-ვეგასში ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოჩნდა, თუმც მომავალ გამარჯვებულ ალექსანდრ ხალიფმანთან დამარცხდა და კვლავ გაქრა. ბოლოს და ბოლოს, გატა დაფას 2004 წელს დაუბრუნდა. კამსკი თავიდან პატარა ტურნირებში ჩაება, თუმც ფორმა მალე აღიდგინა და აგერ ორი დღის წინ მსოფლიოს თასიც აღმართა. ფინალში ამერიკელი ესპანეთის სახელით მოასპარეზე ალექსეი შიროვს შეხვდა და 2,5:1,5 მოუგო. გადამწყვეტი მეორე პარტია გამოდგა, თეთრებით მოთამაშე კამსკიმ მეტოქე 37-ე სვლაზე დაამარცხა... 

„ორივე კარგ ფორმაში ვიყავით და მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა. ასეთ დროს კი გამართლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. შიროვმა რამდენიმე კარგი ვარიანტი ვერ დაინახა და ამან მიშველა“ — განაცხადა გამარჯვებულმა.

ემილ სუტოვსკი კამსკის მთელი ტურნირისას თან ახლდა და სეკუნდანტობასაც უწევდა. „გატა საუცხოოდ თამაშობს. რამდენიმე კარგი ვარიანტი ავუხსენი და მანაც ყველაფერი მშვენივრად გაიგო. ასეთი რამ კი იშვიათია“ — აღნიშნა სუტოვსკიმ. წლევანდელმა მსოფლიოს თასმა გულშემატკივრებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ტურნირის საიტს 178 ქვეყნიდან ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ესტუმრა.

კამსკი საახალწლოდ დასვენებას აპირებს, მომავალ წელს კი მსოფლიოს ექსჩემპიონ ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს დაუპირისპირდება და თუ სძლია, მოქმედ ჩემპიონს სატიტულო ბრძოლაში შეხვდება. შეგახსენებთ რომ ჩემპიონი ინდოელი ვიშვანათან ანანდია, თუმც გაისად მას რუს ვლადიმირ კრამნიკთან მატჩრევანში ელის.

**ლაშა გეგეჭკორი**

ავტორბოლა



მატიას ეკსტრომმა თვით მიხაელ შუმახერი დაჩაგრა

# მატიას ეკსტრომი ჩემპიონთა ჩემპიონია

**კვირას** ლონდონში, ლეგენდარულ „უემბლის“ სტადიონზე საგანგებოდ ავტომრბოლებისთვის მოწყობილ ტრასაზე სუპერშოუ — „ჩემპიონთა რბოლა“ გაიმართა.

ეს მეოცე ამგვარი ღონისძიება იყო, რომელშიც ამჯერად თითქმის ორმოცი მძღოლი მონაწილეობდა. ჯერ ეროვნებათა-გუნდური თასი გათამაშდა, რომელიც თვით მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მეფორმულე მიხაელ შუმახერმა და მისმა ახალბედა თანამემამულე სებასტიან ფეტელმა მოიპოვეს.

მაგრამ ამის შემდეგ პირადულ გაჯიბრებაში თვით შუმიც კი აირია და პირველობა DTM-ის წრიული რბოლების სერიის გამარჯვებულს, შვედ მატიას ეკსტრომს დაუთმო, რომელმაც ზედიზედ მეორედ მოიგო „ჩემპიონთა რბოლა“.

**გია ახალაძე**

# ქულები? ქულებზე ბოდიში

## მთავარი ლეგიონერი ისევ ცინცაძეა

გასულ კვირაში ქართული ლეგიონი ბარაქიანობით ვერ დაიკვეხნის. ვილაცას ტრავმა ჰქონდა, ვილაც ისვენებდა — ვინც მოედანზე გავიდა, დიდად თავი არც მათ წარმოუჩენიათ. მათ შორის მაინც გიორგი ცინცაძე გამოირჩა, რომელმაც გასულ კვირაში ორი მატჩის ჯამში 14 პასი მიითვალა და მისმა გუნდმაც უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები მოიპოვა. ოქროს ფასი ჰქონდა ასევე მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევის" მოგებას, თუმცა ჯობს, ამ ამბებს ცალ-ცალკე და დაწვრილებით მივყვეთ...

### ესტონეთი

ცინცაძეს წლეულს გვარიანად დატვირთული სეზონი აქვს. მისი „როკი" სამ ფრონტზე იბრძვის — ესტონეთის ჩემპიონატში, ბალტიის ლიგასა და ევროთასზე. „როკერებმა" გასული კვირა საერთაშორისო სარბიელზე გალიეს. ცინცაძის გუნდი შიდაჩემპიონატში ისვენებდა, თუმცა უცხოურ გუნდებთან მეტად საპასუხისმგებლო მატჩები ჰქონდა.

„როკმა" ევროთასის ჯგუფური ეტაპი საამყო გამარჯვებით დაიწყო. ტარტუელები საბერძნეთში პაოკ-ს ხვდებოდნენ და მასპინძელი ისე დაამარცხეს, როგორც იტყვიან, ხელი არ გაანძრევინეს. ცინცაძემ 8 ქულა მოიხვეჭა, თუმც ამასთან 8 პასიც გაიღო და საკუთარ სტატისტიკას შთამბეჭდავი იერი შესძინა.

ბალტიის ლიგაზე კი ტარტუელებმა ლატვიური „ვენტსპილსი" დაამარცხეს და ცინცაძემ ამ მატჩში ყველა ღირებულების სროლას ორ-ორჯერ გაუსინჯა გემო. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა სამქულიანებიც ჩააგდო, ორიანებიც და საჯარიმო სროლაც ორჯერ დააგემოვნა. შედეგად მან 12 ქულა შეაგროვა და ამას მატჩში უმეტესი, 6 პასიც მიაყოლა.

„როკმა" დაძაბულ ბრძოლაში 90:88 დაამარცხა „ვენტსპილსი" და ბალტიის ლიგაში სატურნირო მდგომარეობა გამოიკეთა. ესტონეთის ჩემპიონი მეექვსე საფეხურზე აცოცდა და პლეი ოფში გასვლაც უკვე სავსებით რეალურია.

### უკრაინა

უკრაინაში დიდხანს ელოდნენ ამ მატჩს — ქვეყნის ორი გამორჩეული გუნდი, როგორც იქნა, შეხვდა ერთმანეთს, თუმცა მანამდელ ტურში დაფიქსირებულმა მოულოდნელმა შედეგმა ამ მატჩისადმი ინტერესი ცოტა გაანელა.

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევი" და უკრაინის მოქმედი ჩემპიონი, მარიუპოლის „აზოვმაში" მეათე ტურამდე დაუმარცხებლად მოიბრძოდნენ. მეთერთმეტეში ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, თუმც „აზოვმაშმა" წაგებათა გრაფა მშრალად ვერ შეინარჩუნა. მარიუპოლელები მეათე ტურში შინ „ხიმიკთან" დამარცხდნენ და... მარკოიშვილის გუნდთან შეხვედრაში წაგების სიმწარე მეორედ იწვნიეს.

ასე და ამგვარად, „ბკ კიევმა" მთავარი კონკურენტი დაამარცხა და, სამწუხაროდ, ამ მატჩში ქართველმა უკანასკნელმა თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა. მანუმ ხუთივე ორქულიანი გააცუდა და ერთი სამიანი და 2 საჯარიმო მიითვალა. საბოლოოდ მარკოიშვილს 5 ქულა, ამდენივე მოხსნა და 1 პასი დაუგროვდა.

მარკოიშვილმა ვერც ულებ-ის თასზე გამოიჩინა თავი, თუმცა იტალიურ „ბენეტონთან" მთელი „ბკ კიევი" შერცხვა. მანუმ თავის ყოფილ გუნდს 24 წუთში 6 ქულა ჩაუგდო, თუმცა ეს ვერაფერი ხეირი გამოდგა კიეველებისთვის.

### იტალია

ნიკოლოზ ცქიტიშვილის „ტერამოს" შანსი ჰქონდა, ხმაურიანი გამარჯვება მოეპოვებინა, მაგრამ სერია A-ს მოქმედ ჩემპიონსა და ახლაც ლიდერ „სიენასთან" ძალები არ გასწვდა. ტერამოელები მთელი მატჩის განმავლობაში უძლიანდებოდნენ სიენელებს, ნაიდგ კუდზე ესხდნენ, მაგრამ საბოლოოდ საქმის სასიკეთოდ შეტრიალება ვეღარ მოახერხეს. „სიენამ" 100:91 სძლია „ტერამოს", ქართველი ცენტრის ანგარიშზე კი 17 წუთში 9 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი დაგროვდა.

### ესპანეთი

ტაირონ ელისი „კახოსოლის" ლიდერიდან რიგით მოთამაშედ გადაიქცა. კარგა ხანია, ჩვენს ნატურალიზებულ ამერიკელს პრიმერა-დივიზიონში თავი არ გამოუჩენია. სევილიურმა გუნდმა გასულ ტურში შინ „მურსიას" მოუგო და ელისი თავისიანებს 9 ქულით, 2 პასითა და 1 მოხსნით შეეწია.

### ნბა

ზაზა ფაჩულია ორკვირიანი ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა და ეს ამბავი ორმაგი დუბლით აღნიშნა. „ატლანტამ" აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერ „დეტროიტთან" კი წააგო, მაგრამ ქართველ გულშემატკივარს ეს ამბავი დიდად არ დაამწუხრებდა — ფაჩულიამ 27 წუთში 10 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა.

**ირაკლი პერტაია**

# ახალი გზა: საქართველოდან ამერიკაში

## ლაივ სპორტმა შერმადინი დრაფტს დაუმიზნა

**გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, რომ „მაკაბის" ცენტრ გიორგი შერმადინის სანახავად თბილისში ამერიკული სატრანსფერო სააგენტო „ლაივ სპორტის" მენეჯერი ტოდ რამასარი ჩამოვიდა. ამერიკელი მსტოვარი დაესწრო „მაკაბისა" და თსუ-ს მატჩს, რომელშიც შერმადინმა 32 ქულა, 20 მოხსნა და 7 პასი მიითვალა. ამ მონაგრით კმაყოფილი რომ არ დარჩენილიყო, შერმადინის მტერი და დაუნახავი უნდა ყოფილიყო — მაკაბელი ცენტრის თამაში ამერიკელ ემისარს, რა თქმა უნდა, მოეწონა და მან „მაკაბის" მწვრთნელ ჯამლეტ ხუხაშვილთან ხელშეკრულებაც გააფორმა, რომლის პირობებზეც თავად ხუხაშვილი გვესაუბრება...**



გიორგი შერმადინის მომავალზე ტოდ რამასარი და ჯამლეტ ხუხაშვილი ფიქრობენ

— ამერიკელი აგენტი საკმაოდ კმაყოფილი დარჩა შერმადინის თამაშით და ჩვენ შეთანხმებასაც მივაღწიეთ. აპრილში გიორგი ამერიკაში გაემგზავრება, სადაც ჯერ მსოფლიოს ახალგაზრდა ვარსკვლავების მატჩში მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი ნბა-ს გუნდებთან ივარჯიშებს წინასადრაფტოდ.

— ადრე თქვით, რომ შერმადინი პირველი წრის მერე საზღვარგარეთ წავა სათამაშოდ...

— არა, შერმადინი საქართველოში დარჩება და პირდაპირ „მაკაბიდან" წავა ამერიკაში.

— ამერიკელმა აგენტმა შერმადინის მეურვეობა იკისრა?

— დიახ, ის შერმადინს ყველანაირად დაეხმარება ნბა-ს დრაფტზე აქამდე ჩვენ კავშირი გვქონდა კომპანია ეი-ემ-ჯისთან, მაგრამ „ლაივ სპორტმა" უკეთესი პირობები შემოგვთავაზა და ახლა მისი კლიენტები გავხდით.

— დარწმუნებული ხართ, რომ შერმადინს დრაფტზე აირჩევენ?

— ამაში დარწმუნებული ვერავინ იქნება, მაგრამ როგორც „ლაივ სპორტის" მენეჯერი გვეუბნება, შერმადინს ნბა-ს დრაფტზე წარმატება ელის. ზემოხსენებული ახალგაზრდული ოლ სტარის შემდეგ შერმადინი ამერიკაში დარჩება და წინასადრაფტო ვარჯიშებს გამართავს ნბა-ს სხვადასხვა გუნდებთან. დანარჩენი უკვე დრაფტის საღამოს გაირკვევა.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# თამაშ-თამაშ პორტლენდის გასუქდა

16 დეკემბერი

**დეტროიტი 109:87 გოლდენ სტეიტი**

დეტროიტი: პრინსი (23), ბილაპსი (19), მაკდაისი (14 ქულა, 11 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ბარნსი (15), ჯექსონი (13)

**ტორონტო 77:90 ბოსტონი**

ტორონტო: ბოში (17 ქულა, 13 მოხსნა), მური (13)

ბოსტონი: პირსი (18), გარნეტი (15), რონდო (14)

**დენვერი 105:116 პორტლენდი**

დენვერი: აივერსონი (38), ენტონი (19), მარტინი (14)

პორტლენდი: როი (26 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), ფრაი (20), აუტლოუ (17)

**ლეიკერსი 113:92 კლიპერსი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (32), ოდომი (15), ბაინუმი (14 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება), ვუიაჩიჩი (14)

კლიპერსი: მაგეტი (27 ქულა, 6 ჩაჭრა), კამანი (18 ქულა, 16 მოხსნა)

„პორტლენდი" დასაბამელი გამხდარა, დიდსა თუ პატარას, ყველას ცულავს ეს მჭლე გუნდი, რომელიც სულაც არ აღმოჩნდა მჭლე. იმდენი მოიგო და იმდენი გადაულაპა, რომ ამასობაში გვარიანადაც მოსუქდა. „დენვერი" მისი ზედიზედ მეშვიდე მსხვერპლი გამოდგა და „პორტლენდმაც", რომელიც პროგნოზებში თითქმის ყველამ ფსკერზე დალუქა, ამასობაში მოგებაწაგებები გაათანაბრა. ზედიზედ შვიდიდან მან სამი სტუმრად მოიგო მაშინ, როცა მანამდე უკლებლივ ყველა გასვლა ჩაუფლავებინა.

„თითქოს გულიდან ლოდი გადავგორე — „დენვერთან" გამარჯვების შემდეგ ხარობდა „პორტლენდის" თავი ნეიტ მაკმილანი — ამ დარბაზში ჩვენს გუნდს 2003 წლიდან არ მოუგო და ძალიან კარგია, რეკონსტრუქციის პერიოდშიც კი რომ ვახერხებთ ვალების გასტუმრებას".

„პორტლენდის" მსგავსად 7 გამარჯვებაზე დგას მხოლოდ „ბოსტონი" კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ამბად უთვლიან ზედიზედ 9 მოგებას. „კელტებს" ბოლო 14 წელია, ანუ ლარი ბერდის ეპოქის შემდეგ, არ ჰქონიათ ასეთი სერია, მაგრამ ისე იოლად იგებენ, რომ ხალხს ამ გადასარევი შედეგის ჯეროვნად აღქმის უნარი დაუჩლუნგდა. „ტორონტოსთან" „ბოსტონს" რეი ალენი აკლდა და თითქოს არც სხვა დიდვარსკვლავებმა გამოიდეს თავი, პოლ პირსმა 18 ქულა გააკეთა, კევინ გარნეტი კი 15-ით შემოიფარგლა, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელმა გუნდმა პერგაუმტარი დაცვა შეაგება „ტორონტოს" და ეს შეტევის მოყვარული გუნდი 77 ქულას დააჯერა. „კელტების" მწვრთნელი დოკ რივერსი ცდილობს ისეთი გუნდის აშენებას, რომელიც რაც შეიძლება, ნაკლებად იქნება ჩამოკიდებული ლიდერთა ტრიოზე და საჭიროების დროს, თუნდაც პლეი ოფში მეორე ეშელონის მოთამაშეებსაც შეეძლებათ ხელის გამოღება. ამ თამაშებიდან ჩანს, რომ დოკს ჩანაფიქრი უსრულდება. ისეთი უცნობი მოთამაშეები, როგორებიც არიან რაჯონ რონდო, ჯერალდ გრინი, ტონი ალენი, ედი ჰაუსი და სხვებიც, თავს ნამდვილად არ ირცხვენენ. შემდეგი შედეგია მათი ამსუზრნური მონაგარი, 20 მოგება 22 თამაშში.

**კოტე ყორშია**

# ჯერ კლუბი და ნაკრებიც იქნება

## მაგარი ბიჭები მამაცი გულებით

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები უკრაინიდან დაბრუნდა, სადაც იქაური ღია პირველობის პირველი ტურის ხუთ თამაშში სამი მოიგო. ჩვენებმა კიევის „დინამო", „ხარკოვი" და „მარიუპოლ 2" იოლად დაჯაბნეს, ლვოვის „დინამოსთან" 7:9, ხოლო მოლდოვასთან 8:9 წააგეს. გუშინვე ნაკრებმა აზერბაიჯანის გუნდს უმასპინძლა „ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში და შედარებით სუსტი მეტოქის დაჩაგვრა არ გასჭირვებია**



სოსო მაისურაძე პატარების აღზრდით არ იღლება

*მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ განვლილი თამაშების და უახლესი გეგმების შესახებ მოგვითხრო.*

— მოგებულ თამაშებში უპირატესობა ერთი წუთითაც არ დაგვითმია და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. მოლდოვასთან და ლვოვთან წაგებამ კი გული დაგვწყვიტა. ორივესთან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. ერთადერთი ლეგიონერი, პავლე ჯაფარიძე („ჰანოვერი"), სამი თამაშის მერე უკან, გერმანიაში დაბრუნდა იმის გამო, რომ კლუბს ჩემპიონატში დახმარებოდა. კონტრაქტით უფლება არ აქვს, გუნდის თამაში გააცდინოს. ამიტომ დიდი ძალა გამოგვაკლდა, ჩვენ ხომ ძირითადად გამოუცდელი პატარები გვყავდა წაყვანილი. მის გარდა კიდევ ერთი ლეგიონერი მაინც რომ მყოლოდა, იმ ორ თამაშსაც აუცილებლად მოვიგებდით.

— გასულ წლებთან შედარებით უკრაინის ჩემპიონატის საერთო დონე თუ ამაღლდა?

— ბევრად მაღალი დონეა, რაც იმანაც განაპირობა, რომ ყველა გუნდი გაძლიერდა. წლეულს პირველად გამოდის ყაზახეთის ნაკრები, რომელიც ადრე რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობდა. მათმა ჩამოსვლამ უფრო საინტერესო და დაძაბული გახადა თამაშები, თან ისინი მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გამოვიდნენ და პეკინის ლიცენზიას უმიზნებენ. საპეკინო ლიცენზია ევროპულ გუნდებთან ჭიდილში აქვთ მოსაპოვებელი. იმის თქმა მსურს, რომ იქ მონაწილე ნაკრებებს ვჯობივართ, შეგვიძლია, მათზე უკეთესი გუნდი გვყავდეს, თუ ყველას შევკრებთ, ევროპაზე გასასვლელადაც ვიბრძოლებთ. უკრაინა და ბელარუსი ევროშესარჩევზე მესამე ეტაპზე არიან, ჩვენ კი, ვიმეორებ, მათ ვჯობივართ!. უკვე მერამდენედ ვამბობ, გვინდა კლუბი, რათა ლეგიონერები დავაბრუნოთ. უკრაინაში, „ხარკოვს" იქ მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი დავით ჯიმშიაშვილი ეხმარება, აუზი აუშენა და ფულს უხდის. აქ რა გახდა, რომ საშველი არ დაადგა ჩვენ პრობლემებს. არადა, ბიჭებს ლამის ხელიდან გვტაცებენ. გალაქტიონ ლაითაძეს „ხარკოვი" იწვევს და დიდი შანსია, მეორე ტურში, რომელიც თებერვალში გაიმართება, ჩვენს წინააღმდეგ ითამაშოს. როგორ შევუშალოთ ხელი? იყოს აქ პირობები და ეს ბიჭები ნაკლები ანაზღაურების შემთხვევაშიც საქართველოში ჩამოსვლას არჩევენ. ცალკე მიშა ბალათურიას ყაზახეთი იწვევს.

ზურა რურუამ ძალიან შთამბეჭდავად ითამაშა, 15 გოლი გაიტანა და მასაც დაადგეს თვალი. პერსპექტიულია სანდრო რუსიშვილიც და უკვე მის წასვლაზეცაა ლაპარაკი...

*ამის შემდეგ თავისი პოზიციის დაფიქსირება მეორე მწვრთნელმა, ირაკლი კიკალიშვილმა გვთხოვა:*

— ზურა რურუას თამაშით აღფრთოვანებული ვარ. გუნდის სული და გული იყო. გოლებიც გაჰქონდა, დაცვასაც ეხმარებოდა და სადაც ბიჭებს უჭირდათ, იქ გაჩნდებოდა ხოლმე. ეს 20 წლის ბიჭი, თავის ასაკში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მერწმუნეთ, არაფერს ვაჭარბებ.

*კომენტარი თავად* ***ზურაბ რურუასაც*** *ვთხოვეთ, ვინც წლების მანძილზე ნაკრების კაპიტანია და ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედაც ითვლება.*

— იმის გამო, რომ ლეგიონერები ვერ ჩამოვიდნენ და ბევრი ახალგაზრდა თამაშობდა, ჩემი პასუხისმგებლობა უფრო გაიზარდა და მეც განსაკუთრებულად მოტივირებულმა ვითამაშე. თუმცა ამაზე მეტიც შემიძლია. პრობლემას ის გვიქმნის, რომ სათამაშო პრაქტიკა არა გვაქვს. ბიჭებს ყველას უნდა ჩამოსვლა, მაგრამ ვერ ჩამოდიან იმის გამო, რომ კლუბი არ არის. წლების მანძილზე ენთუზიაზმზე, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვთამაშობთ. ახლაც ჩვენი ქვეყნის სიყვარულის გამო გამოვდივართ. აქ გავიზარდეთ, მეგობრები, ახლობლები აქ გვყავს და არ გვინდა სხვაგან წასვლა. ელემენტარული პირობების შექმნას ვითხოვთ, რომ გუნდი გვყავდეს.

**ლექსო მაისურაძე**



# მანადუს აუზში ჩაექცინა



AFP ფოტოქრონიკა

**უნგრულმა** პროვინციულმა ქალაქმა დებრეცენმა ოთხ დღეში მოილია ევროპის ჩემპიონატი მოკლე აუზში ცურვაში. ტურნირი რიგიანი გამოვიდა, უნგრელები პირველად როდი მასპინძლობდნენ მსგავსი მასშტაბის ტურნირებს, ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირში გამინაურებულ ქვეყანაა. ხალხიც კმაყოფილი დაიშალა, რაკილა უნგრელმა მოცურავეებმაც, ლასლო ჩეხის მეთაურობით ბლომად დაიკიდეს მედლები. ყველაზე იმედგაცრუებულები კი ალბათ მაინც ფრანგები დარჩნენ. მათმა ქალთევზა ლორ მანადუმ საფრანგეთი ერთ-ერთ უძლავრეს „საცურაო დერჟავად" აქცია და მანვე გაუცრუა იმედები.

მანადუ ახლა მხოლოდ 20 წლისაა და უკვე გული აქვს აყრილი იმ საქმეზე, რომელშიც ის ერთ-ერთი უძლიერესია. იტალიელ მოცურავე ლუკა მარინზე უგონოდ შეყვარებულ ფრანგს ეს წელი თითქმის მთლიანად ჩაუვარდა. რამდენიმე სკანდალიც გადახდა — ჯერ საფრანგეთიდან იტალიაში გაიქცა თავის ბოიფრენდთან და სამშობლოში ბევრი გადაიმტერა, მერე კი იტალიაც სკანდალურად დატოვა, რაკილა იქაურ კლუბში ვარჯიშებზე კი არა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

ახლა მანადუს საკუთარი ძმა წვრთნის და შედეგიც სახეზეა: ულამაზესი გოგონას თვალები ამოუღამდა და ცხოვრებასა და ცურვამობეზრებულ ვეტერანს დაემსგავსა. შაბათს მან კი მოიგო 400 მეტრი თავისუფალი გაცურვა, მაგრამ მეორე დღე აშკარად ჩაუვარდა. დაცურავს კი არა, თითქოს ღრუბლებში დალივლივებსო, კვირას 200 მეტრ თავისუფალში დაწინაურდა, მაგრამ მერე მავანმა შვედმა ჯოჰუფინ ლილჰაგემ გვერდით ჩაუდგაფუნა და სახტადაც დატოვა. ისე კი ვამბობთ, „მავანი", მაგრამ ამ შვედთევზამ დებრეცენიდან კიდევ ერთი ოქრო წაიღო — თანამემამულე გოგონებთან ერთად 4X50 თავისუფალი ესტაფეტა მოიგო.

**კოტე ყორშია**



# ხუთგზის იავარა

## თურქებს ქართულმა კვარტეტმაც ვერ უშველა

**საკლუბო** ძიუდოს ევროპის თასი სანქტ პეტერბურგის „იავარა ნევამ" დაისაკუთრა. ცხრა წლის წინ დაარსებული რუსული კლუბი კონტინენტის ჩემპიონი უკვე მეხუთედ გახდა. ტურნირს შაბათს მოსკოვმა უმასპინძლა.

ტატამზე ქართველი ძიუდოისტებიც გავიდნენ, ოღონდ არა ქართული, არამედ თურქული კლუბის სახელით. ევროთასზე გამობრძმედილი „ისტანბული" ზაზა კეღელაშვილით (66კგ), ირაკლი ცირეკიძით (90კგ), გია გუგავათი (100კგ) და ლაშა გუჯეჯიანით (+100კგ) იყო გაძლიერებული. ქართული „საგარეჯო" კი შარშან ნაწვნევი უსამართლობის გამო წლევანდელ ევროპის ჩემპიონატს საკუთარი ნებით გამოაკლდა.

„ისტანბული" მეოთხედფინალში „იავარა ნევასთან" დამარცხდა. გუნდური შეიდი შეხვედრიდან ხუთში რუსებმა იმარჯვეს, ხოლო ორი ფრედ დასრულდა. ორივე ნახევარქულა ჩვენებურებმა მიამატეს თურქულ მარაგს. კეღელაშვილი მანსურ ისაევს დაუზავდა, ხოლო ცირეკიძე ათენის ოლიმპიურ პრიზიორ ხასანბი ტაოვს. სწორედ ამ ფრით გაინაღდა „იავარა ნევამ" ნახევარფინალის საგზური და რახან „ისტანბულს" შანსი აღარ ჰქონდა, გუგავა ტატამზე აღარ გასულა, გუჯეჯიანმა კი მაინც იჭიდავა და უხვტიტულა ტამერლან ტმენოვთან დამარცხდა.

პიტერელებმა ნახევარფინალში ფრანგულ „ლევალუას" 6:1 მოუგეს. ფინალში კი მეორე რუსული გუნდი ნალჩიკის „გლადიატორს" 5:2 სძლიეს. ტურნირს საპატიო სტუმრად ვლადიმერ პუტინი დაესწრო. რუსეთის პრეზიდენტი ძიუდოს ევროკავშირის საპატიო პრეზიდენტი და „იავარა ნევას" შეფიცაა და შაბათის შედეგითაც კმაყოფილი დარჩა. თუმცა, შესაძლოა, მის ბიჭებს სხვებმაც შეაშველეს ხელი. წინა წლების საკლუბო ჩემპიონატების მიაჯობის გათვალისწინებით ვერაფერს გამოვრიცხავთ.

**ოთარ გალლაკელიძე**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ორ კვირაში** ავსტრალიაში ახალი საჩოგბურთო სეზონი გახურდება, მანამდე კი 2007 წელი ბოლო დღეებს ითვლის, ITF-ის ეგიდით სეზონის ბოლო პატარ-პატარა ტურნირები ტარდება და შესაბამისად, პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგების ქვედა ასეულებშიც ხდება უმნიშვნელო ცვლილებები.

ქართველი ჩოგბურთელები, ჯერჯერობით, სწორედაც რომ ქვედა ასეულებში არიან და ორშაბათს გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგებში კვლავაც 14 ჩვენებურია მოხსენიებული — ოთხი კაცი და ათი ქალი. წინა კლასიფიკაციებთან შედარებით, ქართველების პოზიციებს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. აღსანიშნავი ალბათ ის არის, რომ მანანა შაფაქიძემ და სოფო ქვაცაბაიამ კიდევ თითო ნაბიჯით წაიწიეს წინ და კარიერის პიკი გაიუმჯობესეს — მანანა 607-ეა, ხოლო სოფო — 688-ე.

**კაცები**

| | |
|---|---|
| 372(-6) ლადო ჩიხლაძე | 91 |
| 1212 (-1) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1478(+2) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1478(+2) გიორგი ჭანტურია | 1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 183(+3) მაკა ჩახნაშვილი | 160,0 |
| 283(-6) ანა ტატიშვილი | 88,0 |
| 407(+2) სოფო შაფათავა | 46,0 |
| 510(-1) თინა ყაულაშვილი | 31,0 |
| 589(+2) სალომე დევიძე | 22,0 |
| 607(+1) მანანა შაფაქიძე | 21,0 |
| 643(0) ოქსანა კალაშნიკოვა | 18,0 |
| 688(+1) სოფო ქვაცაბაია | 16,0 |
| 801(0) ეკა გორგოძე | 10,0 |
| 844(-3) სოფო მელიქიშვილი | 9,0 |

# ფედერერის მეოთხე შვეიცარიული

**როჯერ ფედერერი** მეოთხედ დაასახელეს შვეიცარიის წლის სპორტსმენად. აქამდე „მხიარულ როჯერს“ ეს პატივი 2003, 2004 და 2006 წლებში ერგო.

ფედერერმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით იმარჯვა და მნიშვნელოვნად გადაასწრო ველომრბოლელ ფაბიან კანჩელარასა და მარათონელ ვიქტორ როტლინს.

„ყოველთვის განსაკუთრებით სიხარულია, როცა სამშობლოში ასე გაფასებენ. მერე რა, რომ ბევრი უეჭველ ფავორიტად მიმიჩნევდა“ — განაცხადა 12 სლემტურნირის მომგებმა ალპელმა, რომელიც ახლა დუბაიში ემზადება ახალი სეზონისთვის.

ფედერერი ველომრბოლ ტონი რომინგერს დაეწია, რომელიც ასევე ოთხჯერ აღიარეს შვეიცარიის წლის სპორტსმენად.

„მხიარულმა როჯერმა“ განაცხადა, რომ ლამის ატირდა, როცა ეს აღიარება ჩოგბურთის ლეგენდებმა — პიტ სამპრასმა, ბიორნ ბორგმა და როი ემერსონმა მიულოცეს. სამპრასმა, რომელიც 14 მოგებული სლემტურნირით ჯერაც რეკორდსმენია, ფედერერს მისი მიღწევის გაუმჯობესობაში წარმატებები უსურვა.

„საოცარია ასეთი განცხადებების მოსმენა. პიტის რეკორდის გამეორება კი მართლაც ოცნების ახდენა იქნება. ყველა მეუბნება, მხოლოდ ორი სლემტურნირის მოგებაღა დაგრჩა და ამას შემდეგ წელსვე მოახერხებო, მაგრამ ამაზე ნაკლებად ვფიქრობ — კონცენტრირებას მხოლოდ იმაზე ვახდენ, რომ დამდეგ სეზონს ფიზიკურადაც და მორალურადაც მომზადებული შევხვდე“.

ბორგმა კი, რომლის რეკორდიც ფედერერმა წლეულს გაიმეორა, მოიგო რა ზედიზედ მეხუთედ უიმბლდონი, პირდაპირ თქვა, ფედერერს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად ქცევა შეუძლიაო.

**ქახა ლომჯარიძე**





ნიკოლ ვაიდიშოვას სილამაზემ რადეკ შტეპანეკის გემოვნება დაადასტურა

# ვაი ჰინგისს, შტეპანეკმა ვაიდიშოვა არჩია

**სულ** ახლახან ისეთი ინფორმაცია გავრცელდა, გაზაფხული რომ იყოს, კაცი იფიქრებდა, ვიღაცამ საპირველაპრილოდ გაიხუმრაო.

ორიოდ დღის წინ გაჩნდა ცნობა, რადეკ შტეპანეკი ცოლს ირთავსო. ამაში გასაკვირი რა უნდა იყოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩეხი მჩოგნის რჩეული მისი თანამემამულე ნიკოლ ვაიდიშოვაა და არა მარტინა ჰინგისი, რომელიც შტეპანეკს დანიშნულიც ჰყავდა და შემოდგომაზე დაქორწინებასაც გეგმავდა. ეს ქორწილი გარკვეული მიზეზების გამო არ შედგა.

როგორც ხედავთ, შტეპანეკს დაოჯახება მტკიცედ ჰქონია გადაწყვეტილი და ეტყობა, სურვილს მალე აისრულებს — მან და ვაიდიშოვამ უკვე გამოაცხადეს, რომ ჯვარს აშშ-ს ქალაქ ბრადენტონში, სადაც აქ ნიკოლი ცხოვრობს, დაიწერენ.

შეგახსენებთ, რომ 18 წლის ვაიდიშოვა ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. მან წლევანდელი სეზონი რეიტინგში მე-12 საფეხურზე დაასრულა. გარდა ამისა, ნიკოლმა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალი ითამაშა, „როლან გაროსსა“ და უიმბლდონზე კი მეოთხედფინალს უწია.

შტეპანეკს კარიერაში ATP-ის ორი ტიტული აქვს მოგებული. „დიდი სლემის“ ტურნირებზე მისი საუკეთესო შედეგი კი 2006 წელს უიმბლდონის ნახევარფინალში გასვლაა.

**ქახა ლომჯარიძე**



მსოფლიოს XVIII ჩემპიონატი
ქალები. საფრანგეთი. 2-16 დეკემბერი

mondial 2007

# ზედიზედ მეორე რუსული

**რუსმა** ხელბურთელმა ქალებმა საფრანგეთის მოედნებზე ორკვირიან ტურნირში შთამბეჭდავი და შედეგიანი თამაშით ჩემპიონის გვირგვინი უპრობლემოდ შეინარჩუნეს.

ევგენი ტრეფილოვის გოგოებმა ათი მატჩიდან რვა მოიგეს, ერთი ფრედ დასრულეს (ბრაზილიასთან) და ერთხელ დამარცხდნენ — ჯგუფურ ეტაპზე, ჩემპიონ ნორვეგიასთან — 21:22, რომელთანაც კვირას ფინალში დამაჯერებელი რევანში აიღეს — 29:24. პარიზში, „ბერსის“ სპორტის სასახლეში, 14 000 მაყურებლის თვალწინ სლავებმა სკანდინაველ კონკურენტებს შანსი არ დაუტოვეს და პრაქტიკულად თამაშის ბედი უკვე პირველი ტაიმის დამაჯერებლად მოგებით გადაწყვიტეს — 16:12.

ნორვეგიელებმა შესვენების შემდეგ კი გაიბრძოლეს და ჩამორჩენა მინიმუმამდეც შეამცირეს — 20:21, თუმცა ანგარიშის გათანაბრება ერთხელაც ვერ მოახერხეს. ფინალის გმირი გახდა რუსთა 29 წლის გოლკიპერი ინა სუსლინა, რომელმაც მეტოქეთა 38 ნატყორცნიდან 16 მოიგერია, თითქმის ყოველი მეორე.

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ სუსლინას კბილა ნორვეგიელი კატია ნიბერგი დაასახელეს, ბომბარდირთა შორის კი ცხრა თამაშში გატანილი 85 გოლით ყველას 30 წლის გერმანელმა ფორვარდმა გრიტ იურაცკამ აჯობა.

ბუნებრივია, გამოცხადდა ტურნირის შესანიშნავი შვიდეულიც: მეკარე *ვალერი ნიკოლა* (საფრანგეთი), გამთამაშებელი *ანიტა გიორბიტი* (უნგრეთი), ხაზი *იონელა სტანკა-გალუცა* (რუმინეთი), შუამარბები *გრო ჰამერსენგი* (ნორვეგია) და *გრიტ იურაცკა* (გერმანია), მარცხენა ფრთა *პოლინა ვახირევა* (რუსეთი), მარჯვენა ფრთა *იანა უსკოვა* (რუსეთი)

**გია ახალაძე**

## ყველა ჩემპიონი

| | |
|---|---|
| 1957 | ჩეხოსლოვაკია |
| 1962 | რუმინეთი |
| 1965 | უნგრეთი |
| 1971 | გდრ |
| 1973 | იუგოსლავია |
| 1975 | გდრ |
| 1978 | გდრ |
| 1982 | სსრკ |
| 1986 | სსრკ |
| 1990 | სსრკ |
| 1993 | გერმანია |
| 1995 | კორეა |
| 1997 | დანია |
| 1999 | ნორვეგია |
| 2001 | რუსეთი |
| 2003 | საფრანგეთი |
| 2005 | რუსეთი |
| 2007 | რუსეთი |



რუსმა ქალებმა ზედიზედ მეორედ გაიხარეს



# ანიას პერსონალური შვეიცარია

**შვედი** ანია პერსონის ტიტულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს — ოლიმპიური ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატების უამრავი ოქრო-ვერცხლ-ბრინჯაოს მომგები, მსოფლიოს თასის გამარჯვებულის საერგო დიდი ბრძოლის გლობუსის ორგზის და მცირე გლობუსების არაერთგზის მფლობელი, თასის ეტაპების მრავალგზის გამარჯვებული... და აი, ასეთი ტიტულიანი მოთხილამურე, რომელმაც წლეულს თებერვალში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა, ახალ სეზონში გამარჯვებას ვინ ჩივის, პოდიუმზეც კი არ იყო შემდგარი.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ანია მუდმივად პრიზიორთა სიახლოვეს ტრიალებდა და შვეიცარიულ სანკტ მორიცში კი, სადაც გასულ უქმეებზე სუპერგიგანტისა და სწრაფდაშვების ეტაპები გაიმართა, ძველი პერსონი ვიხილეთ — შვედმა ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა, ამ დუბლის წყალობით გენერალურ კლასიფიკაციას სათავეში მოექცა და მსოფლიოს თასის ეტაპებზე ყველა დროის ყველაზე წარმატებულ სამთომთხილამურეთა სიაში 37 გამარჯვებით მეოთხე პოზიციაზე ანაცვლა — „თეთრი ცირკის" უფრო მეტი ეტაპი, მხოლოდ ლეგენდარულ ავსტრიელ ნანემარი მოზერ-პროლს (62), შვეიცარიელ ფრანი შნაიდერს (55) და ჯერაც აქტიურ სპორტში მყოფ ავსტრიელ რენატა გიოტჩლს (55) მოუგიათ.

სანკტ მორიცში პერსონმა მეტად მძაფრ ბრძოლაში აჯობა ამერიკელებს — სწრაფდაშვებაში ლინდსი კილდოუ წამის რვა მეასედით ჩამოიტოვა უკან, ხოლო სუპერგიგანტში მეორე ადგილზე გასულ ემილი ბრაიდონს ოდენ წამის ოთხი მეასედით მიასწრო ფინიშთან.

მაშინ, როდესაც ანია პერსონი შვეიცარიაში ძველ დიდებას იბრუნებდა, „თეთრი ცირკის" კაცთა ნახევარს იტალიური ოთხდღიური ჰქონდა — პარასკევს და შაბათს ვალგარდენაში სუპერგიგანტი და სწრაფდაშვება იყო, ხოლო კვირა-ორშაბათს ალტა ბადიაში ტექნიკური სახეობების — გიგანტური სლალომისა და სლალომის ეტაპები ჩატარდა.

სუპერგიგანტში ყველაფერი წამის მეასედებმა გადაწყვიტა — შვეიცარიელმა დიდიე კუშემ ოდენ 0,02 წამით აჯობა ამერიკელ ბოდე მილერს და კარიერაში მეშვიდედ მოიგო მსოფლიოს თასი ეტაპი, ხოლო მილერმა, თავის მხრივ, ასევე ორი მეასედით ჩამოიტოვა მესამე ადგილზე გასული ლიხტენშტაინელი მარკო ბუშელი.

სწრაფდაშვებაში ყველას, ამ სახეობაში 2005-06 წლებში მსოფლიოს თასის ზედიზედ ორჯერ მოგებმა ავსტრიელმა მიხაელ ვალხოფერმა აჯობა (აქ კუშე მეორე იყო), ხოლო კვირას ალტა ბადიაში გამართული გიგანტი სლალომში მსოფლიოს ფინელმა ექს-ჩემპიონმა კალე პალდანდერმა მოიგო. 30 წლის პალანდერისთვის ეს ალტა ბადიაში მოპოვებული მესამე გამარჯვება იყო 2003 და 2006 წლების ტრიუმფების შემდეგ.

## კაცები

### მსოფლიოს თასი. ვალ გარდენა. იტალია. 14-15 დეკემბერი

#### სუპერგიგანტი

| | |
|---|---|
| 1. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1 წთ 36,62 წმ |
| 2. ბოდე მილერი (აშშ) | 1.36,64 |
| 3. მარიო ბუშელი (ლიხტენშტაინი) | 1.36,66 |
| 4. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 1.36,84 |
| 5. ერიკ გუი (კანადა) | 1.36,86 |

#### სწრაფდაშვება

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 1 წთ 56,70 წმ |
| 2. დიდე კუშე (შვეიცარია) | 1.56,88 |
| 3. სკოტ მაკარტი (აშშ) | 1.57,26 |
| 4. ერიკ გუი (კანადა) | 1.57,54 |
| 5. ამბროზი ჰოფმანი (შვეიცარია) | 1.57,62 |

### მსოფლიოს თასი. ალტა ბადია. იტალია. 16-17 დეკემბერი

#### გიგანტური სლალომი

| | |
|---|---|
| 1. კალე პალანდერი (ფინეთი) | 2 წთ 30,92 წმ (1.15,05+1.15,87) |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.31,34(1.15,21+1.16,13) |
| 3. მარკ ბერთოდი (შვეიცარია) | 2.31,37(1.16,13+1.15,24) |
| 4. ჯონ კუჩერა (კანადა) | 2.31,46(1.15,25+1.16,21) |
| 5. ტედ ლიგეტი (აშშ) | 2.31,50(1.16,73+1.14,77) |

#### სლალომი

| | |
|---|---|
| 1. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 1 წთ 36,12 წმ (47,47+48,65) |
| 2. ფელიქს ნოიროიტერი (გერმანია) | 1.36,86(48,14+48,72) |
| 3. ტედ ლიგეტი (აშშ) | 1.37,52(48,63+48,69) |
| 4. რაინფრედ ჰერბსტი (ავსტრია) | 1.38,04(48,35+49,69) |
| 5. ბერნარდ ვაიდიჩი (სლოვენია) | 1.38,14(48,55+48,59) |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 521 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 453 |
| 3. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 366 |
| 4. ტედ ლიგეტი (აშშ) | 335 |
| 5. კალე პალანდერი (ფინეთი) | 320 |

## ქალები

### მსოფლიოს თასი. სანკტ მორიცი. შვეიცარია. 15-16დეკემბერი

#### სწრაფდაშვება

| | |
|---|---|
| 1. ანია პერსონი (შვედეთი) | 1 წთ 39,32 წმ |
| 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.39,40 |
| 3. მარია რიეში (გერმანია) | 1.39,65 |
| 4. რენატა გიოტჩლი (ავსტრია) | 1.38,70 |
| 5. ფრენცი აუფდენბლატენი (შვეიცარია) | 1.39,99 |

#### სუპერგიგანტი

| | |
|---|---|
| 1. ანია პერსონი (შვედეთი) | 1 წთ 15,06 წმ |
| 2. ემილი ბრაიდონი (კანადა) | 1.15,10 |
| 3. რენატა გიოტჩლი (ავსტრია) | 1.15,28 |
| 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1.15,29 |
| 5. მარია რიეში (გერმანია) | 1.15,30 |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ანია პერსონი (შვედეთი) | 383 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 379 |
| 3. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 354 |
| 4. მარია რიეში (გერმანია) | 309 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 274 |



# ბიორნდალენი სტენმარკს ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება

**სლოვენიურ** პოკლიუკაში ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის მესამე ეტაპი დასრულდა და ისევე, როგორც წინა ორ ჯერზე, დიადმა ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა ერთი გამარჯვება პოკლიუკაშიც გამოჭედა.

20 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში წარუმატებლობის შემდეგ ოლემ აქცენტი სპრინტზე გააკეთა და დაძაბულ ბრძოლაში აჯობა რუს დმიტრი იაროშენკოს. ნორვეგიელი საცეცხლე პოზიციებზე მაქსიმალურად აკურატული იყო, ოდენ ერთი სამიზნე დატოვა მთელი და მართალია, მეორე სროლის შემდეგ 9 წამს აგებდა იაროშენკოსთან, ბოლო მონაკვეთზე ოლემ ჩვეული სიჩქარე ჩართო და რუსი ხუთი წამით უკან ჩამოიტოვა.

აქვე გეტყვით, რომ ეს იყო ოლე ეინარ ბიორნდალენის 78-ე გამარჯვება მსოფლიოს თასის ეტაპებზე (აქ იგულისხმება ბარის თხილამურობაში მოპოვებული ერთი გამარჯვებაც) და ნორვეგიელი რვა მოგებითღა ჩამორჩება ლეგენდარულ შვედ სამთომთხილამურე ინგემარ სტენმარკს, ვისაც მსოფლიოს თასის ეტაპებზე, ზამთრის სპორტის რაგინდარა სახეობათა წარმომადგენელთაგან ყველაზე მეტი — 86 ეტაპი მოუგია.

ქალთა სპრინტში იმარჯვა წინა ეტაპის ფრანგმა გმირმა სანდრინ ბაიიმ, რომელმაც 9 წამით აჯობა კაისა მაკარაინენს და სლოვენიური ეტაპის უმთავრესი მოულოდნელობა, სწორედ ამ უცნობი ფინელის მეორე ადგილი იყო.

პოკლიუკური შეჯიბრი ესტაფეტებით დასრულდა. კაცებში რუსებმა ბრწყინვალედ ისარგებლეს გერმანელთა და ნორვეგიელთა უხეირო სროლით და დიდი უპირატესობით იმარჯვეს, ხოლო ქალებში გერმანელებმა რუსებს ბოლოსკენა აჯობეს.


ოლე ეინარ ბიორნდალენი

### მსოფლიოს თასი. III ეტაპი. პოკლიუკა. სლოვენია. 13-16 დეკემბერი

## კაცები

#### სპრინტი. 10 კმ (2 სასროლეთით)

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 23 წთ 44,4 წმ (1 აცდენა) |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 23.49,3 (1) |
| 3. მატიას ნილსონი (შვედეთი) | 23.56,2 (0) |
| 4. სიმონ ფურკადი (საფრანგეთი) | 23.57,2 (0) |
| 5. ალექსეი აიდაროვი (უკრაინა) | 24.11,2 (0) |

#### ესტაფეტა. 4+7,5 კმ (4+2 სასროლეთი)

| | |
|---|---|
| 1. რუსეთი (მაკოვეევი, ჩუდოვი, იაროშენკო, კრუგლოვი) | 1 სთ 16წთ 58,1 წმ (0 საჯარიმო წრე და 3 დამატებითი ვაზნა) |
| 2. გერმანია (რიოში, ვოლფი, ბირნბახერი, გრაისი) | +2 წთ 35,0 წმ (1 და 11) |
| 3. ავსტრია (მეზოტიჩი, პინტერი, ლანდერტინგერი, ედერი) | +3.11,4 (0 და 16) |
| 4. ნორვეგია (ეკჰოფი, ჰანევოლდი, ბიორნდალენი, სვენდსენი) | +4.02,2 (2 და 19) |
| 5. იტალია (კოლა, დე ლორენცი, ვილერმოზი, ვინდიში) | +4.36,3 (3 და 11) |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 255 ქულა |
| 2. დმიტრი იაროშნეკო (რუსეთი) | 237 |
| 3. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 173 |
| 4. ვენსან დეფრანი (საფრანგეთი) | 160 |
| 5. ფრიდრიხ პინტერი (ავსტრია) | 145 |

## ქალები

#### სპრინტი. 7,5 კმ (2 სასროლეთი)

| | |
|---|---|
| 1. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 21 წთ 32,6 წმ (1 აცდენა) |
| 2. კაისა მაკარაინენი (ფინეთი) | 21.41,8 (1) |
| 3. მაგდალენა ნოიནერი (გერმანია) | 21.53,3 (3) |
| 4. ჰელენა იუნსონი (შვედეთი) | 22.05,4 (1) |
| 5. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 22.07,0 (1) |

#### ესტაფეტა. 4+6 კმ (4+2 სასროლეთი)

| | |
|---|---|
| 1. გერმანია (გლაგოვი, ბუჰოლცი, ნოინერი, ჰენკელი) | 1 სთ 13 წთ 52,4 წმ (0 საჯარიმო წრე და 6 დამატებითი ვაზნა) |
| 2. რუსეთი (სლეპცოვა, ნეუპოკოვოევა, გუსევა, იურევა) | +42,5 წმ (0 და 3) |
| 3. საფრანგეთი (პერეტო, ბრიუნე, ბეკარი, ბაიი) | +2.02,6 (0 და 6) |
| 4. უკრაინა (ხვოსტენკო, ვალ. სემერენკო, ვიკ. სემერენკო, იაკოვლევა) | +2.19,8 (0 და 5) |
| 5. სლოვენია (ბრანკოვიჩი, გრეგორინი, გრუდიჩეკი, მალი) | +3.05,1 (0 და 10) |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 274 ქულა |
| 2. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 257 |
| 3. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | 229 |
| 4. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 211 |
| 5. ჰელენა იუნსონი (შვედეთი) | 196 |

## რეგულარული ჩემპიონატი

16 დეკემბერი

**ჩიკაგო 1:3 ფლორიდა**
*1:1 0:2 0:0*
0:1 ოლეში (13), 1:1 ბოლანდი (20), 1:2 ზედნიკი (27), 1:3 ბაუმისტერი (37)

**რეინჯერსი 1:5 ფინიქსი**
*0:1 0:4 1:0*
0:1 პერო (4), 0:2 კარჩილიო (23), 0:3 ვრბატა (24), 0:4 შოსტრომი (33), 0:5 პერო (39), 1:5 ჟირარდი (52)

**ნიუ ჯერსი 4:2 ფილადელფია**
*0:0 3:1 1:1*
0:1 რიჩარდსი (21), 1:1 მადენი (23), 2:1 მადენი (31), 3:1 ეშმი (34), 3:2 ბრიარი (47), 4:2 ლანგენბრუნერი (60)

**ანაჰეიმი 1:2 სან ხოსე**
*1:0 0:1 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 რაიანი (14), 1:1 მიტჩელი (26)

**სენტ ლუისი 3:5 კალგარი**
*1:1 2:2 0:2*
0:1 იგინლა (13), 1:1 მაკდონალდი (15), 1:2 ჰუსელიუსი (21), 2:2 ბოიესი (28), 3:2 სტემპნიაკი (29), 3:3 ლენგკოუ (37), 3:4 იგინლა (48), 3:5 ლენგკოუ (60)

# მე-6 და ექვსასიანი კინენი



„კალგარიმ“ გუშინ გამთენიისას ზედიზედ მეხუთე გასვლითი მატჩი მოიგო, რაც „ალების“ ოდიოზურ დამრიგებელ მაიკ კინენისთვის კარიერაში მწვრთნელის რანგში მოპოვებული მე-600 გამარჯვება აღმოჩნდა. „რკინის მაიკი“ მხოლოდ მეექვსე ნჰლ-ელი მწვრთნელია, ამ ზღვარს რომ უწია.

აქამდე ნჰლ-ის ყინულზე ამდენჯერ და მეტჯერ მხოლოდ სკოტი ბოუმენს (1244), ელ არბორს (781), დიკ ირვინს (692), პეტ ქუინსა (657) და ბრაიან მიურეის (607) ემარჯვათ.

„ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ბევრი ვიმრომე დიდ გუნდებში, სადაც დიდ ჰოკეისტებს ვწვრთნიდი“ — განაცხადა 58 წლის კინენმა, რომელიც მე-19 სეზონია, ნჰლ-ში მწვთნელის რანგში მოღვაწეობს.

აქვე ავღნიშნოთ, რომ კინენზე ადრეულ ასაკში ამ ზღვარს მხოლოდ ბოუმენმა და არბორმა უწიეს.

**ბაჩა ლომაძილი**



**მსოფლიოს თასი. რიბინსკი. რუსეთი. 15-16 დეკემბერი**

**კაცები**

**მასსტარტი. 30 კმ. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 1 სთ 11 წთ 04,8 წმ |
| 2. ვილე ნოუსიაინენი (ფინეთი) | +0,5 წმ |
| 3. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია) | +1,3 |
| 4. ვალერიო ჩეჩი (იტალია) | +1,8 |
| 5. რენე ზომერფელდი (გერმანია) | +2,1 |

**სპრინტი. 1,2 კმ. თავისუფალი**

1. ანდერს გლოერსენი (ნორვეგია); 2. ოლე ვიგენ ჰატესტადი (ნორვეგია); 3. ოესტინ პეტერსენი (ნორვეგია); 4. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია); 5. იოჰან კელსტადი (ნორვეგია)

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 260 ქულა |
| 2. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 234 |
| 3. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 230 |
| 4. იოჰან კელსტადი (ნორვეგია) | 169 |
| 5. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 144 |

**ქალები**

**მასსტარტი. 15 კმ. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 39 წთ 24,5 წმ |
| 2. ნატალია კოროსტილევა (რუსეთი) | +0,7 წმ |
| 3. რიიტა-ლიიზა როპონენი (ფინეთი) | +1,1 |
| 4. ევი ზახენბახერი (გერმანია) | +1,4 |
| 5. არიანა ფოლისი (იტალია) | +3,4 |

**სპრინტი. 1,2 კმ. თავისუფალი**

1. კიკან რანდალი (აშშ); 2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია); 3. ნატალია კოროსტილევა (რუსეთი); 4. მაგდა გენუინი (იტალია); 5. ვესნა ფაბიანი (სლოვენია)

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 380 ქულა |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 312 |
| 3. ვიბეკე სკოფტერუდი (ნორვეგია) | 334 |
| 4. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 209 |
| 5. არიანა ფოლისი (იტალია) | 202 |



**მსოფლიოს თასი. რამზაუ. ავსტრია. 15-16 დეკემბერი**

**პირადი. უ კმ მასსტარტით + 2 ნახტომი HS 98 ტრამპლინიდან**

| | |
|---|---|
| 1. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 24 წთ 22,9 წმ და 37-ე ადგილი ტრამპლინზე |
| 2. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) | 24.29,0 და 30 |
| 3. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 24.27,4 და 32 |
| 4. დავიდ კრაინერი (ავსტრია) | 24.22,4 და 34 |
| 5. ჯეისონ ლამი შაპუ (საფრანგეთი) | 24.16,1 და 36 |

**პირადი. 1 ნახტომი HS 98 ტრამპლინიდან + 7,5 კმ გამოდევნებით**

| | |
|---|---|
| 1. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 17 წთ 32,6 წმ (მე-3 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. რონი აკერმანი (გერმანია) | +3,1 წმ (2) |
| 3. ტინო ედელმანი (გერმანია) | +8,7 (5) |
| 4. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | +11,0 (7) |
| 5. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | +11,3 (25) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 434 ქულა |
| 2. რონი აკერმანი (გერმანია) | 371 |
| 3. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 300 |
| 4. ბილ დემონგი (აშშ) | 272 |
| 5. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) | 270 |



# გასეირნება რონის ეტლით
## 10:2 და ოსალივანი ისევ თავშია

*რონი ოსალივანი*
*დაიბადა 1975 წლის 5 დეკემბერს; პროფესიონალია 1992 წლიდან; კარიერაში მოიგო 19 სარეიტინგო ტურნირი:*
*მსოფლიოს ჩემპიონატი — 2001, 2004*
*გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატი — 1993, 1997, 2001, 2007*
*ბრიტანეთის ღია პირველობა — 1994*
*აზიის კლასიკი — 1996*
*გერმანიის ღია პირველობა — 1996*
*სქოთიშ რევალი — 1998, 2000*
*ჩინეთის ღია პირველობა — 1999, 2000*
*ევროპის ღია პირველობა — 2003*
*ირლანდიის მასტერსი — 2003, 2005*
*უელსის ღია პირველობა — 2004, 2005*
*დიდი პრიზი — 2004*
*კარიერაში საპრიზოების სახით გამოიმუშავა 5,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი*




**თითქმის** სამი სრული წელიწადი, უფრო ზუსტად კი 2 წელი, 10 თვე და 24 დღე დასჭირდა რონი ოსალივანს, რათა მოჯადოებული წრე გაერღვია და სარეიტინგო ტურნირი მოეგო.

2005 წლის 23 იანვარს დიდების ზენიტში მყოფმა რონიმ კარიერაში მე-18 სარეიტინგო შეჯიბრი, უელსის ღია პირველობა მოიგო და მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ სნუკერის ჯადოქარს მე-19 ტიტულის მოსაპოვებლად ამხელა დრო დასჭირდებოდა.

არა, ოსალივანი მუდმივად რჩებოდა სნუკერის ელიტაში და ბოლო წლებში უამრავ შეჯიბრსაც იგებდა. თუნდაც პრემიერლიგაში ზედიზედ ექვსი გამარჯვება რად ღირს, მაგრამ ეს ყველაფერი არასარეიტინგო ტურნირებზე ხდებოდა და აჰა, ნავსი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რანგით ყველაზე მაღალ ტურნირზე, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატზე გატყდა.

ტელფორდში რონიმ მიიღო ყველაფერი, რაც სურდა — ამდენიხნის ნანატრი გამარჯვება, მაქსიმალური — 147-ქულიანი ბრეიკი, 130 ათასი ფუნტი საპრიზო და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის სნუკერისტთა წინასწარი რეიტინგის სათავეში დაბრუნდა.

მარკ სელბისთან სუპერდრამატული ნახევარფინალური მატჩის შემდეგ, როდესაც ოსალივანმა 3:6 ჩამორჩენის შემდეგ გატეხა თანამემამულის წინააღმდეგობა და გამარჯვებას ბოლო, მე-17 ფრეიმშიღა მიაღწია, ოღონდაც მაქსიმალური — 147-ქულიანი ბრეიკით, იყო იმის საშიშროება, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მეორე დღეს გასამართი ფინალისთვის გადაღლილი ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ მის მეტოქეს, ბოლოხანს დიდებულად და უაღრესად სტაბილურად მოთამაშე შოტლანდიელ სტივ მაგუაერს, ფინალის წინ დასვენების დღე ჰქონდა.

პირიქით მოხდა — სელბისთან გამარჯვების შემდეგ რონიმ საკუთარი თავის ირწმუნა და გახსნილი, თავდაჯერებული, თავისუფლად მოთამაშე ოსალივანის შეჩერება რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია, მსოფლიოს უძლიერესმა სნუკერისტებმა კარგად უწყიან. ეტყობა, მაგუაერზე ამანაც იმოქმედა და ფინალში სქოთის სტაბილურობისგან აღარაფერი დარჩა.

მაგუაერი, როგორღაც გადამწვარი ჩანდა. საწყის ფრეიმებში შოტლანდიელმა უამრავი შეცდომა დაუშვა და ოსალივანი 3:0 დაწინაურდა. მეოთხე პარტიაში სტივს უნდა ემარჯვა, მაგრამ ისევ შეცდა, ანგარიში 4:0 გახდა და ამის შემდეგ ყველაფერი ინერციით გაგრძელდა — 5:0, 6:0, 7:0 8:0 — შესვენებისთვის ყველაფერი უკვე ნათელი იყო და თანაც, რონიმ ისე მოიგო რვა ფრეიმი, რომ ასქულიანი ბრეიკის გაკეთებაც კი არ დასჭირვებია.

შესვენების შემდეგ მაგუაერმა ოდნავ აღიდგინა საკუთარი რეპუტაცია და ორი ფრეიმი მოიგო, მაგრამ სქოთის ორ მოგებას ინგლისელმა ორივეჯერ უპასუხა, ამათგან ერთ 126-ქულიანი ბრეიკით და წერტილიც დასვა — 10:2 და ოსალივანმა კარიერაში მეოთხედ ასწია გაერთიანებული სამეფოს თასი.

რონის თასი ეჭირა, გვერდით ცოლი ედგა და სნუკერის მაგიდაზე კი მათი პატარა ქალიშვილი იყო ასკუპებული და სნუკერის ჯადოქარს სრული ოჯახური იდილია ჰქონდა, თავი აბსოლუტურად ბედნიერად ეგრძნო.

ტელფორდული ტურნირით კი 2007-08 წლების სეზონმა ეკვატორი გადალახა. შემდეგი სარეიტინგო შეჯიბრი, უელსის ღია პირველობა, უკვე მომავალ წელს, 11-17 თებერვალს ჩატარდება. თუმცა, მანამდე, იანვარში, წლეულს არასარეიტინგო „მასტერსია“ და ამავდროულად, აპრილ-მაისში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპიც დაიწყება.

| **წინასწარი რეიტინგი** | | **ოფიციალური რეიტინგი** | |
|---|---|---|---|
| 1. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 36450 | 1. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 42250 |
| 2. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 34825 | 2. გრემ დოტი (შოტლანდია) | 37775 |
| 3. შონ მერფი (ინგლისი) | 34050 | 3. შონ მერფი (ინგლისი) | 37700 |
| 4. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 29125 | 4. კენ დოჰერტი (ირლანდია) | 35800 |
| 5. მარკ სელბი (ინგლისი) | 28725 | 5. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 34500 |
| 6. ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 26550 | 6. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 33550 |
| 7. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 25375 | 7. ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 33125 |
| 8. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 24594 | 8. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 32475 |
| 9. გრემ დოტი (შოტლანდია) | 24344 | 9. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 30800 |
| 10. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 23975 | 10. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 30550 |
| 11. რაიან დეი (უელსი) | 23775 | 11. მარკ სელბი (ინგლისი) | 27400 |
| 12. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 21775 | 12. მარკ უილიამსი (უელსი) | 27125 |
| 13. მარკო ფუ (ჰონკონგი) | 20900 | 13. სტივ ლი (ინგლისი) | 26150 |
| 14. მეტიუს სტივენსი (უელსი) | 20638 | 14. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 25300 |
| 15. ჯო პერი (ინგლისი) | 20125 | 15. სტივ ბერისი (ინგლისი) | 24950 |
| 16. კენ დოჰერტი (ირლანდია) | 19919 | 16. რაიან დეი (უელსი) | 24500 |
| 17. აიან მაკალოხი (ინგლისი) | 19307 | 17. ჯო სვეილი (ჩრ. ირლანდია) | 24350 |
| 18. ჯეიმი კოუპი (ინგლისი) | 19144 | 18. ჯო პერი (ინგლისი) | 23925 |
| 19. მარკ ალენი (ჩრ. ირლანდია) | 19025 | 19. ბარი ჰოუკინსი (ინგლისი) | 23750 |
| 20. ჯო სვეილი (ჩრ. ირლანდია) | 18950 | 20. მეტიუ სტივენსი (უელსი) | 23550 |

*ჩოგბურთის არ იყოს, სნუკერში ორნაირად ხდება კლასიფიკაციის შედგენა — სნუკერის ოფიციალური რეიტინგი, რომელიც ჩოგბურთის განთესვის რეიტინგის ანალოგიურია, ბოლო წინასწარი რეიტინგი საჩოგბურთო ჩემპიონთა რბოლას ჰგავს.*

*ოფიციალურ რეიტინგში 2007-08 წლების სეზონის, ანუ ბოლო ოთხი ტურნირის შედეგები არ არის გათვალისწინებული და მისი მონაცემების ბოლო წერტილი 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატია. ანუ ოფიციალური რეიტინგი რეალურად არ ასახავს უძლიერეს სნუკერისტთა ძალთა განლაგების მოცემული მომენტისთვის. წინასწარ რეიტინგში კი ახალი სეზონის შედეგებიც გათვალისწინებული და რადგანაც ამ წუთისთვის სიტუაციაზე ლაპარაკობს, სწორედ წინასწარი რეიტინგის მიხედვით ხელმძღვანელობენ.*

## ჰაინეკენის თასი ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტური

# ლესტერ-ლენსტერელთა მარცხიანი ტური



ლონდონის „ვოფსმა“ სახლში ჩვენებურების „კლერმონი“ მიიღო და ეპიკურ ბრძოლაში დაამარცხა. დავით ზირაქაშვილი განაცხადშიც არ ეწერა, რადგან ტრავმა აქვს და მკურნალობს, გოდერძი შველიძემ კი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა მატჩს თვალი.

შეხვედრა დინამიკურად დაიწყო. ლონდონელები უკანმოუხედავად ეკვეთნენ სტუმრებს და პირველ ნახევარში 22 ქულა ისე აიღეს, რომ თვითონ ერთიც არ გაუშვიათ. „ვოფსის“ შერკინება დამანგრევლად მოქმედებდა, შეუჩერებელი იყო ჰაინეკენის თასის მოქმედი მფლობელების 14 ნომერი პოლ საკეი და, რაც მთავარია, ბრწყინვალედ თამაშობდა ინგლისელთა გამთამაშებელი დენი ჩიპრიანი. თუმცა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ფრანგები მკვდრეთით აღდგნენ. კლერმონელთა „ჯარი“ მასპინძელთა 22-ში დაბანაკდა. ლონდონელებმა შტურმს გაუძლეს, მაგრამ ისე ვერა, რომ სულ მშრალზე გამოსულიყვნენ. უბრალოდ, იმდენი მოახერხეს, რომ გავეშებული „კლერმონის“ საბოლოო მსხვერპლი არ გახდნენ. არადა, იყო ამის საშიშროება...

ბოლოსკენ ფრანგთა ჟინიანი მიძალება მინელდა, სტუმრებს ჯეიმი კუდმორიც გაუძევეს და ამასობაში ჩიპრიანიმ კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა. „კლერმონი“ ინერციით მაინც უტევდა და აქ შეიქმნა, შეიძლება ითქვას, მატჩის ყველაზე ლამაზი მომენტი, როცა სტუმართა ფიჯელმა ლეგიონერმა ვილიმონი დელასაუმ თავისი ხუთმეტრიანიდან სალელოვედ ირბინა.

„ვოფსმა“ წინა ტურში დაშვებული შეცდომა აღარ გაიმეორა და თამაში გამარჯვებამდე მიიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ „კლერმონი“ ბოლო წუთებამდე უტევდა.

ამასობაში მეორე ფრანგული გუნდი „ტულუზი“ განაგრძობს ძლევამოსილ სვლას. ამჯერად ფრანგებს სახლში „ლესტერი“ ეწვია და შერცხვენილი გამობრუნდა უკან. წინა ტურისგან განსხვავებით, როდესაც იგივე ჯახი იყო, ოღონდ ინგლისში ვარსკვლავკრებულმა „ტულუზის“ ვარსკვლავკრებულმა ადვილად დასცა მეტოქე და მის ჯგუფიდან გასვლას დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა.

76 წუთის განმავლობაში „გლაზგო“ გასვლაზე უგებდა „ბიარიცს“, მაგრამ ბასკებმა ბოლო 5 წუთში მოახერხეს ორი ლელოს გატანა და ეს ყველაფერი ფრანგთა ტონგელმა ლეგიონერმა, შეცვლაზე შესულმა სამიუ ვაჩოლაუმ გააკეთა. „გლაზგო“ მატჩის ასეთ ხეირიან დასაწყისზე ალბათ ვერც კი იოცნებებდა. პირველი ტაიმის ნახევარისკენ სტუმრები უკვე 11:0 იგებდნენ. ბასკთა დაცვაში იმხელა დერეფნები იყო, რომ მორაგბე კი არა, კამეჩი გაეტეოდა, მაგრამ შოტლანდიელებმა, როგორც საჭირო იყო, ისე ვერ იხეირეს და ბოლოს კი ვაჩოლაუ გამოვიდა მოედანზე...

„ლენსტერი“ ბრაიან ოდრისკოლის კაპიტნობით განადგურდა ჯგუფის აშკარა აუტსაიდერ „ედინბურგთან“. ირლანდიელებს გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებოდათ, მაგრამ რას გააწყობდნენ შოტლანდიელ „მამაც გულებთან“, მათ ხომ თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ მოედანზე. „ლენსტერის“ იერიშებს სიმწვავე მაშინ მოაკლდა, როცა შეინ ჰორგანი მისმა ძველმა თანაგუნდელმა ბენ ჯიჰინგმა დაამტვრია და გასახდელისკენ გაუშვა. „ედინბურგის“ 10 ნომერს ფილი გუდმანსაც ჯარიმა აღარ გაუცუდებია. უსახურად გაისარჯა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მობურთალი ბრაიან ოდრისკოლიც, პირველი ლელოს გაშვება მის სინდისზეა.

**ზურაბ მიგრიაული**

### I ჯგუფი

**პერპინიანი 23:6 ლონდონ აირში**

**პერპინიანი:** 2ლ: ჰაინესი, მანასი; 2გ: პორიცალი, (როსალენი); 3ს: როსალენი

**ლონდონ აირში:** 2ს:ჰეივატი

**ნივპორტი 22:24 ტრევიზო**

**ნივპორტი:** 3ლ: ბეირმანი, შარვისი, ტომასი; 2გ:სვენეი, 1ა:სვენეი

**ტრევიზო:** 2ლ: დე გრეგორი, კინგი; 1გ:გუსენი; 4ს:გუსენი

ლონდონ აირში 14, პერპინიანი 13, ნივპორტი 7, ტრევიზო 5

### II ჯგუფი

**გლოსტერი 51:27 ბურგუენი**

**გლოსტერი:** 6ლ:ბელშევი, დელვვი, ლამბი, ქერა, ვაინიკოლო, უოლკერი; 6გ: ლამბი; 3ს:ლამბი

**ბურგუენი:** 3ლ:გენევოისი, მონზეგლიო, ნიკოლასი; 3გ: ბოიეტი, 2ს:ბოიეტი

**ალსტერი 8:16 ოსფრისი**

**ალსტერი:** 1ლ:დანიელი; 1ს: ოკონორი

**ოსფრისი:** 1ლ: მარშალი; 1გ: ჰუკი; 3 ს: ჰუკი

გლოსტერი 19, ოსფრისი 13, ბურგენი 5, ალსტერი 1

### III ჯგუფი

**ბრისტოლი 20:7 ჰარლიქვინსი**

**ბრისტოლი:** 3ლ: ბლენეი, კლერკი, ლემი; 1გ: სთრეინჯი; 1ს: ჰილი

**ჰარლიქვინსი:** 1ლ: უილიამსი; 1გ: ჯარვისი

**კარდიფი 31:21 სტად ფრანსე**

**კარდიფი:** 3ლ: ჯეიმსი, რობინსონი, ტიტო,; 2გ: ფლანგანი; 3ს: ფლანგანი; 1ა: ფლანგანი

**სტად ფრანსე:** 2ლ: არიასი, ბურბანი; 1გ: სკრელა; 3ს: სკრელა

ბრისტოლი 12, კარდიფი 12, სტად ფრანსე 9, ჰარლიქვინსი 2

### IV ჯგუფი

**ვიადანა 26:34 სარასენსი**

**ვიადანა:** 4ლ: ბორტოლუსი, ერასმუსი (2), რობერტსონი; 3გ: ჰოვარდი

**სარასეენსი:** 2ლ: ჰაუტონი, სეიმაური; 2გ: ჯეკსონი; 5ჯ: ჯეკსონი

**ბიარიცი 21:14 გლაზგო**

**ბიარიცი:** 2ლ: ვააჩოლაუ; 1გ: ტრაი; 3ს: ტრაი

**გლაზგო:** 1ლ: ბარკლი; 2ს: პარკსი; 1ა: პარკსი

სარასენსი 15, ბიარიცი 13, გლაზგო 11, ვიადანა 2.

### V ჯგუფი

**მანსტერი 22:13 სკარლეტზი**

**მანსტერი:** 2ლ: კარნეი, ფლანერი; 4ს: ოჰარა

**სკარლეტზი:** 1ლ: ჯონსი; 1გ: ჯონსი; 2ს:ჯონსი

**ვოფსი 25:24 კლერმონი**

**ვოფსი:** 3ლ:რედანი, საქეი, ვორსი; 2გ: ჩიპრიანი; 2ს:ჩიპრიანი

**კლერმონი:** 3ლ: დელასაუ, ეტიენი, რეჟერი; 3გ: კინგი; 1ს: კინგი

მანსტერი 14, ვოფსი 13, კლერმონი 10, სკარლეტზი 0

### VI ჯგუფი

**ტულუზი 22:11 ლესტერი**

**ტულუზი:** 2ლ:კლერკი, პუატრენო; 2ს: ელისალდე; 2ა: ელისალდე, კურენტი

**ლესტერი:** 1ლ: ვანდელი; 2ს: გუდი

**ედინბურგი 29:10 ლენსტერი**

**ედინბურგი:** 2ლ: ქერნსი, ვებსტერი; 2გ: გუდმანი; 4ს: გუდმანი; 1ა: ბლეირი

**ლენსტერი:** 1ლ: საჯარიმო ლელო; 1გ: კონტეპომი; 1ს: კონტეპომი

ტულუზი 14, ლესტერი 9, ლენსტერი 8, ედინბურგი 5

# თამაში უკანა ეზოში

## რობი დინსის ოზური საუბრები



ავსტრალიის ახალმა მწვრთნელმა, ახალზელანდიელმა რობი დინსმა მომავალ სამსახურთან დაკავშირებით პირველი კომენტარები გააკეთა. დინსი პირველი არაავსტრალიელია ამ თანამდებობაზე და ოზებს მისი ძალიან ეიმედებათ. მეტიც, ავსტრალიის რაგბის კავშირი თვლის, რომ კუნძულელის „ვოლაბების“ სათავეში მოსვლით რაგბიში ახალი ერა დაიწყება და ბოლოხანს უსახური და უშედეგო თამაშის გამოსწორებას ეყრება საფუძველი. მანამდე რობი დინსი მშობლიური „ოლ ბლექსის“ მთავარი მწვრთნელობის 4 სავარაუდო კანდიდატიდან ერთ-ერთი იყო, მაგრამ საბოლოოდ სწორედ მან „ვოლაბებთან“ გააფორმა 4-წლიანი კონტრაქტი.

— ჩემს ჩამოსვლას ავსტრალიაში ბევრის სკეპტიკურად უყურებს, რადგან ზურგს სანაკრებო კარიერა არ მიმაგრებს, მაგრამ მე ზე-14-ში მიმუშავია და საკმაო გამოცდილებაც გამაჩნია. ვიცი, რა საპასუხისმგებლო საქმესაც შევეჭიდე, მაგრამ ამავდროულად ეს ჩემთვის გამოწვევაცაა და უდიდესი ასპარეზიც, რომელიც აუცილებლად უნდა დავძლიო.

ასევე მინდა, ჩემი შრომატევადი სამუშაო ვაკეთო ადგილობრივთა დახმარებით. ერთად უნდა მივაღწიოთ დიდ სიმაღლეებს. ვიცი და მინახავს კიდეც, რომ ავსტრალიაში უამრავი ნიჭიერი მოთამაშეა. მასალა სავსებით საკმარისია დიდი სახლის ასაშენებლად. ერთ-ერთი კითხვა, რომელიც ჩამოსვლისთანავე დამისვეს, იყო ის, თუ რას ვიგრძნობდი, ან რას დავუპირისპირებდი ჩემს მშობლიურ ქვეყანას, როცა მას შევხვდებოდით. არ დავმალავ — ამბიცია მაქვს, პირველივე წელს მოვიგოთ სამი ერის პირველობა. ახალ ზელანდიასთან ჩემი დაპირისპირება კი უკანა ეზოში პატარაობაში ძმასთან ქიშპობას ჩამოჰგავს. ეს უპირველესი გამოწვევა იქნება.

რაც შეეხება „ვოლაბთა“ მომზადებას — აქ ჩემამდეც პროფესიონალები მუშაობდნენ და გუნდის ახლანდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. არ მინდა, ნაკრებში რაღაც რადიკალური და რევოლუციური იდეებით მოვიდე. მსურს, გამოვძებნო საშუალება, რითაც აბსოლუტურ ურთიერთგაგებას დავამყარებ ჩემსა და მოთამაშეებს შორის. ყოველ მორაგბეს ინდივიდუალურად მივუდგები და ვეცდები, თითოეული მათგანი ბოლომდე გაიხსნას. ვიცი, უდიდესი კონკურენციაა, მაგრამ ყველას მივცემ საუკეთესო თვისებების წარმოჩენის საშუალებას. მე მომწონს მოთამაშეთა გაერთიანება და იქიდან მაქსიმალურის გამოდნობა. ვფიქრობ, გუნდური სულისკვეთებით ყველაფერს მივაღწევთ — განაცხადა რობი დინსმა.

**ზურაბ მიგრიაული**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასაკაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
სარეკლამო სამსახური: შალვა ციხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ჟიხოვა, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge